# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 12 ივნისი. 2019 წ. №117 (8783) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## გათითოკაცებული „განვითარებადი" საქართველო!..



4

# კოშმარული პოლიტიკომანია



**აფსუს, რა გვარს არცხვენ, ირაკლი ოქრუაშვილო, შენ არ იყავი, რომ გაიძახოდი, ისე არ მოვკვდები, შური არ ვიძიო სააკაშვილზეო, რომელმაც სამარცხვინოდ დაგჭმუჭნა და ქვეყნიდან ცოფიანი ძაღლივით გაგაგდო!**

**გაიხსენე, ვინ შეგინარჩუნა, სიცოცხლე, შე პოლიტიკურად ნამუსგარეცხილო.**

**სწორედ შენსა და სააკაშვილზეა ზედგამოჭრილი — ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო!..**

## „გამარჯვებული საქართველო" – რა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

**ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, ბოლომდე გაკოტრებულმა ირაკლი ოქრუაშვილმა გუშინ ახალი პოლიტიკური მოძრაობა დააფუძნა, რომელსაც „გამარჯვებული საქართველო" ქვია. პოლიტიკურ მოძრაობაში მასთან ერთად არიან გუბაზ სანიკიძე, კოტე კემულარია და ვალერი გელბახიანი. მათი თქმით, ახალ პოლიტიკურ გაერთიანებაში იქნებიან როგორც ახალგაზრდები, ასევე გამოცდილი ადამიანები და ძველი პოლიტიკოსები.**

პოლიტიკური მოძრაობის დამფუძნებელი ყრილობა შერატონში გაიმართა, ყრილობის დაწყებამდე ადგილზე სოსო რობაქიძე მივიდა. მან პოლიტიკაში ოქრუაშვილის დაბრუნება გააპროტესტა, რასაც ხმაური მოჰყვა. შერატონი მან რამდენიმე წუთში დატოვა.

**„მე მაგათ დავპირდი, არ ვაცდი არც პოლიტიკოსობას, არც ოპოზიციონერობას, არც მთავრობაში მოსვლას. ამის მიზანია ნაციონალებთან გადასვლა და იმ სიით შეძრომა. სანამ დეპუტატი გახდება, მე გაძლევთ პირობას, რომ მანამდე ამოყოფს ოქრუაშვილი თავს ციხეში"!** — განაცხადა სოსო რობაქიძემ.

...რა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ამ მანქურთი ოქრუაშვილის გვერდით „დიდი" მამულიშვილების — გუბაზ სანიკიძის, კოტე კემულარიას და ვალერი გელბახიანის გამოჩენა... ვაი თქვენს პატრონს, მართლა პოლიტიკის მეჟეჟებო!



# წარღვნა



## შვილიშვილი ბაბუას ასწავლიდაო!..

**ჩემს სიცოცხლეში პირველად ვნატრობ: რასაც ახლა ვიტყვი, სავსებით მცდარი იყოს და სწორედ ამის საპირისპიროდ მიდიოდეს ჩვენი საქმე. ღმერთო ამიხდინე ეს ნატვრა, — შევთხოვ უფალს. მაგრამ ეჭვი არ მასვენებს: რატომ უნდა შეისმინოს არსთა განმრიგემ ჩემი და ჩემისთანების თხოვნა, ნეტავი? დავიმსახურეთ განა ასეთი წყალობა უფლისა? ჩვენს პათეტიკურ სადღეგრძელოებს რომ ვუსმენ ხოლმე სუფრასთან, მუხრან მაჭავარიანის სტრიქონები მახსენდება ნიადაგ: „ამას-იმას, რომ ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს, ჩვენ კი ხმლისა წილ ჯიხვისანი გვიჭირავს რქანი, ვინ-ვინ შეგვინდობს, ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, ერთი მითხარი!**

**წარღვნა გვიახლოვდება, თანამემამულენო, წარღვნა!**

ამის გაგონებაზე ცისკენ ნუ აიხედავთ მაინცდამაინც, ნურც ამინდის გრძელვადიან პროგნოზებს დაუწყებთ ძებნას, რადგან წარღვა მხოლოდ განუწყვეტელი წვიმის შედეგი როდია. წვეთიც რომ არ ჩამოვარდეს ციდან, ისე შეიძლება გადაგვიაროს წარღვნამ და გასაგისიც აღარ დატოვოს ჩვენი. უფრო მეტიც! ისეთი წარღვნა გვიახლოვდება ახლა, რომ საქართველოში მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს კიდეც, მაგრამ მხოლოდ ქართველობა წალეკოს ამ წარღვნამ, იქნებ!

იხ. 7 გვ.



6

**რამაზ საყვარელიძე:**

## გახარიას „შეცდომა" ის იყო, რომ მეტისმეტად მკაფიო ფიგურად წარმოჩინდა!



**ირაკლი კობახიძე:**

## არაკონსტიტუციურად გამოვაცხადოთ „კომპარტია" და „ნაციონალური მოძრაობა"!

**გთავაზობთ, არაკონსტიტუციურად გამოვაცხადოთ „კომპარტია" და „ნაციონალური მოძრაობა" ერთად,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

ირაკლი კობახიძემ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც „ნაციონალური მოძრაობისა" და „ევროპული საქართველოს" წევრებმა პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე განაცხადეს, „ქართული ოცნების" წევრები „კომუნისტურ პარტიის" დროს მაღალ თანამდებეობზე მუშაობდნენო.

**„გთავაზობთ, არაკონსტიტუციურად გამოვაცხადოთ „კომპარტია" და „ნაციონალური მოძრაობა" ერთად. მივმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს ამასთან დაკავშირებით",** — აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

„ევროპული საქართველოს" წარმომადგენელმა, გიგა ბოკერიამ დღეს პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი ცეკა-ს ყოფილი ინსტრუქტორია, რის შემდეგაც პარლამენტის სხდომაზე დაპირისპირება მოხდა.

# სალომე ზურაბიშვილი: საქართველოს ახალი კონსტიტუცია ჩვენი მოქალაქეების შრომის უფლებების დაცვის გარანტორია



— ეს განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ ჟენევაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 108-ე კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

**„1993 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველო გახდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ შეცვალა კანონები და შრომის ბაზრის წესები და მსოფლიო ხედავს შედეგს — ესაა მშრომელთა უფლებების უნივერსალური დაცვა და გაუმჯობესებული სოციალური სამართალი, რაც სოციალური დიალოგის საშუალებით მოხერხდა. საერთო პრინციპები, რომლებსაც ყველა ვიცავთ, ჩვენგან მოითხოვს, რომ ყველას ჰქონდეს შრომის ადამიანური პირობები, რაც დაფუძნებულია თავისუფლების, ღირსების დაცვის, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპებზე. ეს პრინციპები ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. ყველამ ვიცით, რომ ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა დამოკიდებულია შემოქმედებით ძალისხმევასა და ჩვენი მოქალაქეების განათლებაზე. ასევე ინკლუზიურობასა და თანასწორობაზე. ვიცით, რა შრომა ჩადო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ და ამ ორგანიზაციის ყველა წევრმა, რათა შრომის სათანადო გარემო და ღირსეული შრომის პირობები ყველა ქვეყანაში იყოს უზრუნველყოფილი“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისი თქმით, ჯერ კიდევ დიდი გზა არის გასავლელი.

**„ჩვენ ერთად ვთანხმდებით წესებზე და ვამტკიცებთ კონვენციებს. ეს პრინციპები შემდეგ თითოეული ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში აისახება. ამის შემდეგ მათ იმპლემენტაციას ვცდილობთ. სწორედ ეს არის ყველაზე რთული ნაწილი. საქართველო ამ მხრივ არ არის გამონაკლისი. მე ვარ საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომელიც ამ ტრიბუნიდან მიმართავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას, ამიტომ ამ შესაძლებლობას, საქართველოს მიღწევებსა და სამომავლო გამოწვევებზე სასაუბროდ გამოვიყენებ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ 18 კონვენციის რატიფიკაცია მოვახდინეთ. მათ შორის არის ყველა ფუნდამენტალური კონვენცია. საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც შარშან მივიღეთ, ჩვენი მოქალაქეები ეკონომიკური შრომის უფლებების დაცვის გარანტორია“,** — განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, შრომის კანონის გაუმჯობესების პროცესი გრძელდება და ხდება მისი ჰარმონიზაცია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პრინციპებთან და ასევე ევროკავშირის რეგულაციებთან.

**„ბოლო მიღწევებს შორის დავასახელებ ცოტა ხნის წინათ მიღებული შრომის უსაფრთხოების კანონს, ის ადგენს დაცვის მაღალ სტანდარტებს და ეფექტურ სანქციებს. ასევე, ზრდის შრომის ინსპექციის მანდატს. ეს კანონი მიზნად ისახავს შრომის კულტურის ცვლილებას. ეს კანონი ითვალისწინებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებსა და ევროკავშირის დირექტივებს. მთავრობა მუშაობს, რათა შრომის ინსპექცია გაძლიერდეს და შრომის სტანდარტები სათანადოდ იყოს დაცული. პარლამენტი ასევე მუშაობს შრომის კოდექსის ცვლილებებზე. მათ შორის, მუშაობა მიმდინარეობს პროფკავშირების კანონზე, შრომის მედიაციასა და მინიმალური ხელფასის შემოღებაზე. მისი თქმით, 2014 წელს მიღებული იყო კანონი სამსახურში ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. ესეც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რომ ჩვენი მოქალაქეების უფლებები დაცული იყოს“,** — განაცხადა პრეზიდენტმა. სალომე ზურაბიშვილი ჟენევაში საერთაშორისო ორგანიზაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

# ევროკავშირის 13 ქვეყანა ორგანიზაციის გაფართოებას უჭერს მხარს

**ევროკავშირის 13 ქვეყანა ორგანიზაციის გაფართოებას და ახალი წევრების მიღებას უჭერს მხარს. ამის შესახებ „ევროაქტივი“ წერს. გამოცემის ცნობით, შესაბამის პროექტს აღნიშნული ქვეყნები ბრიუსელში დღეს წარადგენენ.**

ევროკავშირის გაფართოებას მხარს ძირითადად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები უჭერენ. ესენია ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია, ჩეხეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, იტალია, ავსტრია, ხორვატია, სლოვენია და მალტა.

როგორც ანონიმურმა წყარომ „ევროაქტივთან“ საუბარში განაცხადა, აღნიშნული ქვეყნები ევროკავშირში ალბანეთისა და ჩრდილოეთ მაკედონიის გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკების დაწყებას მოითხოვენ.

როგორც დიპლომატები აცხადებენ, ამ განცხადებით 13 ქვეყნის ხელისუფლება აცხადებს, რომ ევროკავშირის ინტეგრაცია და გაფართოება პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს.

ევროკავშირში ალბანეთისა და ჩრდილოეთ მაკედონიის გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკების დაწყების რეკომენდაცია ევროკომისიამ უკვე გასცა, თუმცა გადაწყვეტილება ევროკავშირის საბჭომ უნდა მიიღოს. როგორც ცნობილია, საფრანგეთი და ნიდერლანდების სამეფო ამ ეტაპზე ევროკავშირის გაფართოების წინააღმდეგ გამოდიან.

# ჰონგ-კონგოელი და იაპონელი ინვესტორები საპარტნიორო ფონდში

**„საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ ფონდში ჰონგ-კონგისა და იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები მიიღო. ოფიციალური დელეგაციის წევრები „საპარტნიორო ფონდის“ საინვესტიციო პროექტებით ინტერესდებიან.**



ფონდში გამართულ გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ფონდის მენეჯმენტმა დელეგაციის წევრებს „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და მიმდინარე საინვესტიციო პროექტები გააცნო. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა „საპარტნიორო ფონდთან“ თანამშრომლობასა და საინვესტიციო მიმართულებით ქვეყნის კონკურენტულ უპირატესობებზე.

დელეგაციის მხრიდან აღინიშნა, რომ ბოლო პერიოდში გატარებული ფუნდამენტური რეფორმების წყალობით, საქართველომ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა თავისი პოზიციები საერთაშორისო რეიტინგებსა და თანამეგობრობის წინაშე, შესაბამისად, სხვადასხვა სფეროში უცხოური ინვესტიციების განსახორციელებლად საქართველო ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად იქცა რეგიონში.

ჰონგ-კონგისა და იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტებისა და საინვესტიციო წინადადებების დეტალურად გაცნობის სურვილი გამოთქვეს.

# გია ვოლსკი: გიგა ბოკერია, შე ყეყეჩო ადამიანო!

**შუალედური არჩევნების მეორე ტურში საზოგადოებამ გამოავლინა გაცილებით უფრო მაღალი პოლიტიკური ნიჭი, ცნობიერება, ვითარების შეფასების უფრო გაცილებით მაღალი უნარი, ვიდრე ზოგიერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას გააჩნია და ამჟღავნებს,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ განაცხადა.



მისი თქმით, პროცესების ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული და ხშირად პროვოკაციული ვითარების მიუხედავად, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს გაცილებით უფრო მეტი ურთიერთლოიალობა გააჩნია, ვიდრე პოლიტიკურ პარტიებს ერთმანეთის მიმართ.

**„ეს აშკარად ჩანდა ყველგან, სადაც ჩატარდა არჩევნები, ყველგან, ვგულისხმობ დღევანდელ პარლამენტსაც. ამომრჩეველთა უდიდესი ნაწილისთვის უფრო მისაღებია ამ რთულ და წინააღმდეგობებით, გამოწვევებით აღსავსე გარემოში მართვის მექანიზმები ჰქონდეს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურობას, განვითარების პერსპექტივას და არა რევოლუციურ სცენარებს, საღად აფასებს წარსულს და მიმდინარე პროცესებს. ჩვენი ოპონენტები შედარებით ნაკლებ მხარდაჭერას აბრალებენ ყველაფერს — ხახვს, ნიორს, ფქვილს, მოსყიდვის სხვადასხვა ფორმებს, ჰიპნოზსაც კი. ადამიანი, რომელიც ჩასჩურჩულებს მეორე ადამიანს, 41 შემოხაზოს, ძველ ბიჭებს, რასაკვირველია, სხვა გარემოებებს და არა საკუთარ თავს — ჩამოურეცხავ ლაქას, რომელიც მათ დააჩნია წარსულმა, იქნება ეს ადამიანის უფლებების, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის სხვა სფეროები. უფრო მეტიც, არა თუ შეაფასეს საკუთარი თავი, არა თუ შალვა შავგულიძის სახით ჩამოიცილეს ლაქები, არამედ მნიშვნელოვნად დაალაქავეს თავად შალვა შავგულიძის რენომე, თუკი რამე კიდევ ჰქონდა შერჩენილი სააკაშვილთან ალიანსის შემდეგ.**

**ყველამ, რომლებმაც გაიმარჯვეს არჩევნებში, მერებმა, საკრებულოების თავმჯდომარეებმა, პარლამენტის წევრებმა, მადლობა უნდა ვუთხრათ არა მხოლოდ ჩვენს ამომრჩევლებს, არამედ მათაც, რომლებმაც მხარი არ დაგვიჭირეს. ამისთვის გარკვეული მიზეზები გააჩნიათ, მაგრამ თავიანთი პოზიცია გამოხატეს საარჩევნო ყუთებთან და არა ამ ისტერიულ გამოხტომებზე აყოლით, რომელიც შემოგვთავაზა არამარტო ცალკეულმა პოლიტიკურმა ძალებმა და პიროვნებებმა, არამედ კონკრეტულმა საინფორმაციო საშუალებებმა, გამორჩეულებმა აგრესიით, უშვერი გინებითა და უზნეობით. ახალგაზრდა, ნიჭიერი ჟურნალისტების ხარჯზე სურთ ჩამოაყალიბონ ზონდერ ჟურნალისტიკის ახალი ტრენდი. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი შვილები ერთ სახელმწიფოში ცხოვრობენ, ერთ სკოლებში და ერთ საბავშვო ბაღებში უნდა იარონ“,** — განაცხადა გია ვოლსკიმ. ამასთან, გია ვოლსკიმ სიტყვით გამოსვლისას უპასუხა გიგა ბოკერიას პარლამენტის სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ „ქართული ოცნების“ რიგებში არიან კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები გუგული მაღრაძე, კარლო კოპალიანი და ცეკა-ს ინსტრუქტორი გია ვოლსკი.

**„რაც შეეხება ჩემს პოლიტიკურ წარსულს. არათუ საკმაოდ ბევრია ჩვენს ქვეყანაში ასეთი ადამიანი, არამედ ღირსეულად ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას, არიან პატრიოტები და რომლებსაც თქვენგან განსხვავებით, ბატონო გიგა, ყავარჯნებით ხელში არ გაუუპატიურებია მამაკაცი, არ მოუკლავს ქუჩაში ახალგაზრდა და არ უწამებია და არ უქნევია ხელები ასეთი გამეტებით, როგორიც თქვენ ხართ“,** — მიმართა ვოლსკიმ ბოკერიას.

ამასთან, გია ვოლსკის განცხადებას „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი გიგა ბოკერია გამოეხმაურა, რის შემდეგაც დეპუტატებს შორის პარლამენტში სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. ბოკერიამ ვოლსკის უზრდელი უწოდა; **„შე ყეყეჩო ადამიანო“,** — მიმართა ბოკერიას ვოლსკიმ.

# „ოცნება“ ახალი სახეების ძიებაშია...



**ზაქარია ქუცნაშვილი, ზაზა გაბუნია, ნუკრი ქანთარია, კარლო კოპალიანი, ირაკლი ბერაია, მერაბ ქვარაია, გია ვოლსკი, ზვიად ძიძიგური** – ეს იმ ადამიანთა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ჭორიკანა ჟურნალისტების ინფორმაციით მომავალ პარლამენტში არ იქნებიან. ამავე ინფორმაციის თანახმად, „ქართული ოცნების“ განახლებულ სიაში ვერ მოხვდება ირაკლი კობახიძე და მისი ახალგაზრდული ფრთა. როგორც მმართველი გუნდის კულუარებში ამბობენ, გუნდი მთლიანად იცვლება და ახალი სახეებით წარდგება ამომრჩევლის წინაშე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი.

„ქართული ოცნების“ წევრი, დეპუტატი **ნუკრი ქანთარია** ადასტურებს, რომ მმართველ გუნდში განახლება იქნება, თუმცა მისი თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ გუნდი დაიშლება. დეპუტატი აცხადებს, რომ მომავალ პარლამენტში მის საჭიროებას ვერ ხედავს.

**„პირადად ჩემს საჭიროებას ველარ ვხედავ ამ ეტაპზე მომავალ პარლამენტში. თუმცა, ეს არამც და არამც არ ნიშნავს „ქართული ოცნების“ გუნდის დატოვებას ან პასიურ პოზიციაში გადასვლას. პირიქით, ვფიქრობ, სწორედ მრავალწლიანი გამოცდილებით და დაგროვილი ცოდნით აქტიურად ჩავერთო პარტიის განახლების და, ზოგადად, მმართველი გუნდის გაძლიერების პროცესში.**

**ვარ და ვიქნები ბიძინა ივანიშვილის თანამოაზრე და მასთან ერთად ვაპირებ ბრძოლის გაგრძლებას. შევხედოთ მოვლენებს, თუ იქნება სტაბილური პოლიტიკური გარემო, ასეთ შემთხვევაში. ვერ ვხედავ აუცილებლობას და საჭიროებას მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის. მაგრამ, თუ გამწვავდა სიტუაცია და გუნდმაც და მეც დავინახეთ, რომ საჭიროა ჩემი საპარლამენტო პროცესში კვლავ მონაწილეობა, დავდგები იქ, სადაც გუნდის და ქვეყნის ინტერესები მოითხოვს“,** – აცხადებს ნუკრი ქანთარია.

შუალედური არჩევნების მეორე ტურის შემდეგ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი საპარლამენტო უმრავლესობას შეხვდა. განხილვის მთავარი თემა საკადრო ცვლილებები იყო. შეხვედრის დასრულების შემდეგ, **არჩილ თალაკვაძემ** დაადასტურა, რომ პარტიაში განახლება იქნება. თალაკვაძე აცხადებს, რომ „ქართული ოცნება“ 2020 წლისთვის საზოგადოების წინაშე განახლებული პოლიტიკური პროგრამითა და გუნდით წარდგება.

**„მუშაობა დაწყებული გვაქვს ახალ პოლიტიკურ პროგრამაზე, ასევე დაწყებულია კონსულტაციები, რაც, ბუნებრივია, საბოლოო ჯამში, 2020 წლისთვის მოგვცემს იმას, რომ „ქართული ოცნება“ განახლებული პოლიტიკური პროგრამითა და გუნდით წარდგება საზოგადოების წინაშე. თითოეული ჩვენი თანაგუნდელი თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს მომავალ პოლიტიკურ პროცესში. ჩვენ 2020 წლის არჩევნებს კიდევ უფრო ძლიერი პოზიციებით შევხვდებით“,** – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარე ადასტურებს, რომ განახლება იქნება საკმაოდ მასშტაბური, მათ შორის საპარლამენტო წარმომადგენლობის კუთხითაც. **ირაკლი კობახიძემ** დაადასტურა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მუშაობა პარტიამ უკვე დაიწყო და „ქართული ოცნება“ საზოგადობას განახლებულ გუნდს შესთავაზებს. ვინ ვერ მოხვდება სიაში მოქმედი შემადგენლობიდან, ამაზე პარლამენტის თავმჯდომარე არ საუბრობს.

**„ამ კუთხით მუშაობა დაწყებულია და შედეგებს იხილავს საზოგადოება, ამომრჩეველი იმ დროს, როდესაც გახურდება საარჩევნო კამპანია. ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი წელი მოსამზადებლად საარჩევნო პროცესისთვის და მანამდე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი აქტივობები იმისთვის, რომ განახლებული გუნდით წარდგეს „ქართული ოცნება“ ამომრჩევლის წინაშე. მნიშვნელოვანია საკადრო განახლება, მნიშვნელოვანია შინაარსობრივი განახლება და ყველა მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა“,** – განაცხადა ირაკლიკობახიძემ.

დეპუტატი **ზაქარია ქუცნაშვილი,** რომელიც მომავალ საპარლამენტო სიაში დიდი ალბათობით არ იქნება, აცხადებს, რომ შემოდგომაზე ძალიან ბევრ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებენ. ქუცნაშვილის თქმით, როგორც სხვა ყველა დანარჩენი პარტია, მმართველი ძალაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების რეჟიმში გადავა.

როგორც საკადრო, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით ცვლილებებს არ გამორიცხავს დეპუტატი **ოთარ დანელია,** რომლის განცხადებით, გაჯანსაღების და განახლების პროცესი მმართველ პარტიაში ყოველთვის დღის წესრიგში უნდა იდგეს. თავად იქნება თუ არა მომავალ პარლამენტში, დანელია ამ ეტაპზე ვერაფერს ამბობს.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** ამბობს, რომ ოპოზიციური პარტიებისგან განსხვავებით, გუნდის განახლების ყველაზე მეტი შანსი მმართველ პარტიას აქვს, რომელსაც ხელეწიფება მმართველობითი გადაწყვეტილება, მატერიალური რესურსების მმართვა. აქედან გამომდინარე, ზარდიაშვილის შეფასებით, ადამიანებში მეტია ინტერესი და სურვილი მმართველ პარტიაში გაიკეთონ პოლიტიკური კარიერა.

„ქართულ ოცნებას“ რაიმე იდეოლოგიური უპირატესობა აქვს-თქო, ვერ დავიჩემებ, მაგრამ რესურსების ფლობის გამო, მათ განახლების მეტი შესაძლებლობა აქვთ. თუ ვინმე ფიქრობს პოლიტიკურ კარიერაზე, რასაკვირველია, ამ თვალსაზრისით ხელსაყრელია მმართველი პარტია, ვიდრე ოპოზიცია. გეთანხმებით, რომ არის უკმაყოფილო ამომრჩეველი და ეს ბუნებრივია, მაგრამ გაცილებით დიდი უკმაყოფილება არის ამ ოპოზიციური პარტიების მიმართ და ეს არის დღეს „ქართული ოცნების“ უპირატესობა.

**ეს ვითარება გაგრძელდება მანამ, სანამ არ გამოჩნდება ახალი ძალა, რომელიც შეძლებს ღირსეული კონკურენცია გაუწიოს „ქართულ ოცნებას“, რომელიც უკეთეს ალტერნატივას შესთავაზებს ქართველ ამომრჩეველს, ვიდრე შეუძლია სხვა პოლიტიკურ ძალებს. თუკი არ შეიქმნა ახალი ოპოზიციური პარტია, იქამდე არ მგონია რამე შეიცვალოს. ახალი ოპოზიციური ძალის გაჩენას კიდევ რესურსი უნდა, რაც სამწუხაროდ არ ჩანს“,** – აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

როგორც ყოველთვის, გაბითურებულ გულთმისანს გია ხუხაშვილს ამჯერადაც „დაუნდობელი“ პოზიცია აქვს. მისი შეფასებით მმართველ გუნდს განახლების შანსი არა აქვს. ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია აღდგეს ინსტიტუციური წესრიგი, რაც ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის გაპრემიერებას.

**„სამწუხაროდ, კონსტიტუციის მიღმა ცხოვრობს ქვეყანა. ქაღალდზე გვიწერია კონსტიტუცია, მაგრამ კაბინეტებზე აწერია პრემიერ–მინისტრი, მინისტრი და ა.შ. მაგრამ ეს ხომ არ არის რეალობა. ვოლსკი გაუშვა და კახაძე მოიყვანო, ამაში მე ლოგიკას ვერ ვხედავ. რამდენი დაიძახეს ახალი სახე, ხან ღარიბაშვილი დააბრუნეს და ხან აგერ, მთლად ლადო კახაძე აირჩიეს. ასე რომ, ეს არის მხოლოდ კეთილი სურვილები. სულ ანგელოზები რომ მოიყვანონ და სულ გენიოსები, მაინც არაფერი არ ეშველება ამას, თუ სისტემური რეფორმირება არ დაიწყება“,** – აცხადებს **გია ხუხაშვილი**.

**თამთა ქარჩავა**


მაგთი MAGTI



იცხოვრე მაგთის ინტერნეტსამყაროში მთელი ზაფხული

გა2მაგებული ოპტიკური ინტერნეტის სიჩქარე

მაგთის საჩუქარი

დარეკეთ ნომერზე 0800100202 და ყოველგვარი დამატებითი გადასახადის გარეშე მიიღეთ საჩუქარი მაგთისგან: ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის გაორმაგებული სიჩქარე.

მაქსიმალური გაორმაგებული სიჩქარე 100 მბ/წმ-მდე.


## კახა კალაძე: ვაშენებ სადაც მინდა, როგორც მინდა და რამდენსაც მინდა, ასე ნამდვილად არ გამოვა




თბილისის მერმა კახა კალაძემ თბილისის საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით ისაუბრა.

**„ჩვენ ეს პრობლემები გვქონდა წლების განმავლობაში და შედეგიც სახეზეა, თუ როგორ განვითარდა ჩვენი ქალაქი. ვფიქრობ, არავისთვის სასიამოვნო არ არის და არავის მოსწონს ის, თუ რა ხდება დღეს ურბანული განვითარების თვალსაზრისით, შესაბამისად, ჩვენ მთელი რიგი ცვლილებები განვახორციელეთ და ყველაზე მთავარი, რაც გავაკეთეთ, არის განსხვავებული მიდგომები. რა თქმა უნდა, ქალაქი უნდა განვითარდეს, წინ წავიდეს, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სწორად, ხარისხიანად და ის მიდგომები და დამოკიდებულებები, რაც იყო წლების განმავლობაში, რომ ვაშენებ სადაც მინდა, როგორც მინდა და რამდენსაც მინდა, ეს ნამდვილად არ გამოვა. ეს მიდგომა და დამოკიდებულება კატეგორიულად მიუღებელია და ზოგადად სამშენებლო სექტორიც და ბიზნესიც უკვე გადაეწყო იმ მოთხოვნებზე, იმ მიდგომებზე, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ და ზუსტად ასე იქნება ქალაქის სწორად განვითარება შესაძლებელი“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

**ივნისის თვე პოლიტიკურადაც ნამეტნავად „გაცხელდა“ რამდენიმე ძალა ცდილობს მესამე პოლიტიკური ცენტრის ნიშის დაკავებას. რამდენად შეასრულებენ ისინი მესამე ძალის ფუნქციას, ეს იმთავითვე საეჭვოა. ისიც საკითხავია, ჩვენს საზოგადოებას რამდენად სურს ერთი და იგივე სახეების ხილვა პოლიტიკაში მაშინ, როცა სრულიად ახალი, გაუსვრელი ძალის გამოჩენას ყველა მონდომებით ელოდება.**



დაიწყება თუ არა გადამწყვეტი ბრძოლა „ოცნების“ წინააღმდეგ ბესელიას, ჭიჭინაძის, ოქრუაშვილის, კვირიკაშვილის მიერ გახსნილი ფრონტით? ფაქტია, რომ ეს ადამიანები (ან ამ ადამიანთა გარკვეული ნაწილი) ივნისის თვის გამოყენებას აქტიურად აპირებენ.

20 ივნისს **ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძის, ზვიად კვაჭანტირაძის** პარტია „სამართლიანობისთვის“ დაფუძნდება. მათთან არ იქნება **ლევან გოგიჩაიშვილი,** რომელსაც, სავარაუდოდ, სხვა მიზნები აქვს და ამ ეტაპზე ბესელიას პარტიაში არყოფნის მიზეზებს არ აკონკრეტებს. 22 ივნისს ქართულ პოლიტიკურ სივრცეს **დავით ჭიჭინაძის** „ტრიბუნა“ მოევლინება, რითიც ჭიჭინაძე, როგორც საქართველოს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას დაიწყებს.

კვლავაც შეგვახსენებს თავს **ირაკლი ოქრუაშვილი** და უკვე მერამდენედ გაიკვალავს გზას პოლიტიკისკენ. ასევე, სავარაუდოდ, გააქტიურდება **„დაიცავი საქართველო“,** რომელიც გამორიცხული არ არის, საზოგადოებრივი მოძრაობიდან პოლიტიკურ მოძრაობაშიც გადაიზარდოს.

ამ ყველაფერს კი დააგვირგვინებს პოლიტიკაში **ლევან ვასაძის** შესაძლო შემოსვლის შესახებ გავრცელებული ხმები, რასაც არც მისი ახლობლები გამორიცხავენ.

რას მოიტანს უკვე ნაცნობი სახეების კიდევ მეტად გააქტიურება, ამის შესახებ დღეს ანალიტიკოსი **ვაჟა ბერიძე** გვეესაუბრება.

## ვაჟა ბერიძე: თუ ჩვენს საზოგადოებას შევთავაზებთ რეალურ პერსპექტივას, სხვა გზას, სხვა ლიდერებს, მაშინ საქართველოსნაირ ქვეყანაში მინიმუმ 75-პროცენტიანი მაინც უნდა იყოს არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა

# კოშმარული პოლიტიკომანია



**— რას ჰპირდება პოლიტიკურად ცხელი ზაფხული „ქართულ ოცნებას“, რას შეცვლის ახალი პარტიების შემოსვლა პოლიტიკურ ველზე და არის თუ არა ძველი სახეების გაცოცხლება ქართველი ხალხის დაკვეთა?!**

— მთავარია, რამდენად ელის ელექტორატი, ამომრჩეველი ახალი პოლიტიკური ორგანიზაციების გამოსვლას არენაზე, ან რაიმე აზრი აქვს თუ არა ახალი ძალების გამოსვლას, მით უმეტეს, ძველი სახეებით. თემა მრავალწახნაგოვანია, ამიტომ ჩვენ ელემენტარულად უნდა გავიხსენოთ მარტივი ვითარება, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი ინდიფერენტულია პოლიტიკური პროცესების მიმართ. გაუცხოება შეინიშნება არა მარტო პარტიებისა და პოლიტიკური ისტებლიშმენტისადმი, არამედ მთლიანობაში პოლიტიკისადმი. თითქოსდა, აღარ ელის არაფერს ქართველი საზოგადოება, თავისი საკმაოდ მძიმე სოციალური ფონით და გაურკვეველი სამომავლო პერსპექტივით, თითქოსდა, ჩვენი საზოგადოებისთვის სულ ერთი გახდა, ვინ იქნება ხელისუფლებაში, თუნდაც ესენი იყვნენ მსოფლმხედველობრივად და თავიანთი პერსონალიებით არსებითად განსხვავებულნი ერთმანეთისგან („ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისგან წარმოშობილი პარტიები), თუ მესამე პოლუსი, მე მაინც ასე მოვიაზრებ „პატრიოტთა ალიანსს“ და „ერთიან საქართველოს“. ეს სამი პოლუსი გვაქვს ჯერჯერობით ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში. რეალურად, ვითარება გაცილებით კოშმარულია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ნორმალურ ქვეყანაში ამის გამო სოციუმის განწყობას გამოიკვლევდნენ, მაგრამ საქართველოში ავტორიტეტული სოციოლოგიური კვლევის კომპანიები არ არსებობს, მათ რეპუტაცია შეულახეს, არც უცხოური ფონდების მიმართ არის ნდობის მაღალი ხარისხი. ვგულისხმობ „ენ-დი-აი“-ს და „აი-რა-ი“-ს. ამიტომ რაც გვაქვს, ისევ ამ დათქმით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

**— ჩვენი ხალხის ნიჰილიზმი ქართული პოლიტიკის მიმართ მთაწმინდის არჩევნებმაც დაადასტურა, მაგრამ, იქნებ, ამაში დადებითიც დავინახოთ? როგორც დასავლეთში არ აინტერესებთ პოლიტიკოსები და მათი გვარებიც არ იციან, იქნებ, საქართველოშიც მობეზრდეთ პოლიტიკოსები და ამით დასრულდეს შემთხვევითი ადამიანების სწრაფვა პოლიტიკისკენ? დასრულდეს ის დაავადება, რასაც ჰქვია პოლიტიკომანია, როცა საქართველოში ყველას სურს პოლიტიკოსად გახდომა, მიუხედავად იმისა, შესწევს თუ არა ამის უნარი.**

— თავისთავად ცხადია, ნორმალურ ქვეყანაში, სადაც დალაგებულია ყველაფერი და სოციალური ფონი მოწესრიგებულია, ყოველდღიური ცხოვრებით გატაცებულ ადამიანს ხშირად არც უნდა აინტერესებდეს, რა ხდება პოლიტიკაში, მაგრამ საქართველოში პოლიტიკური კლასისგან გაუცხოება მოხდა ადრე. ჩვენ ჯერ კიდევ მოსაპოვებელი და შესანარჩუნებელი გვაქვს დამოუკიდებლობა, რომელიც გამოვაცხადეთ 1991 წელს. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ამ სუვერენიტეტის ღირსები ვართ, რომელიც, თუ ადრე მეფის რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენდა, ახლა საბჭოთა რუსეთის ნანგრევებზე აღმოცენდა. ის, რომ დამოუკიდებლობის ღირსები ვართ, უნდა დავასაბუთოთ არა მარტო ჩვენ, არამედ 14-მა საბჭოთა რესპუბლიკამაც რუსეთის გარდა, რომელიც ისევ ძველი იმპერიული იდეების ტყვეობაშია. ამიტომ ცოტა ნაადრევია გულგრილობა და ინდიფერენტიზმი ქართული პოლიტიკური ცხოვრების მიმართ. მით უმეტეს, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, აქ ყოველი ხელისუფლება, რომელიც დამოუკიდებლობის შემდეგ მოვიდა საქართველოში, რომელიმე დიდი მეზობლის, ან რომელიმე სტრატეგიული პარტნიორის ნებისგან გამომდინარეობს.

**სამწუხაროდ, საქართველოში ვერ ვხედავ რეალობას, როდესაც ხელისუფლებაში მოვა პოლიტიკური ძალა, თუნდაც ხალხის მხარდაჭერით და მას შეერთებული შტატები, ევროკავშირი, რუსეთი და, ზოგ შემთხვევაში, სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოთამაშეები მხარს არ დაუჭერენ. მართალია, ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთშიც იქაური საზოგადოება წყვეტს ხელისუფლების ბედს, მაგრამ იქაც არ არის რადიკალური არჩევნები, იქაური ყველა ძალა ევროკავშირისა და დასავლეთისკენაა მიმართული. სანამ ჩვენ დავემსგავსებით ბალტიისპირა ქვეყნებს, მანამდე ხალხი თავისი აქტიურობით უნდა ასრულებდეს ხელისუფლების წყაროს ფუნქციას. ჩვენი საუბარი რომ გახდეს ფაქტებზე დაფუძნებული, მივადევნოთ თვალი, რა სურათია სოციუმის განწყობის თვალსაზრისით.**

„ენ-დი-აი“-ს კვლევით, რომელიც წლის დასაწყისში ჩატარდა და, ვგონებ, დიდად არც შეცვლილა ელექტორატის განწყობა, 36%-სთვის არც ერთი პოლიტიკური ძალა არ არის მისი ინტერესების გამომხატველი, 27%-სთვის მისი ინტერესების გამომხატველია „ოცნება“, ხოლო 12%-სთვის „ნაციონალური მოძრაობა“. ხვალ რომ არჩევნები იყოს, „ოცნების“ მხარდამჭერების რაოდენობა რატომღაც მცირდება 3%-ით და 24%-ს შეადგენს, 11% „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერია, 3% — „პატრიოტთა ალიანსის“.

**— „პატრიოტთა ალიანსი“ გამუდმებით აცხადებს, რომ ის არის ძალა, რომელსაც უამრავი ადამიანის ქუჩაში გამოყვანა შეუძლია. ამდენად, ეს მონაცემები რეალობასთან ახლოსაა?**

— პირადად მე „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერთა რაოდენობა, სულო ცოდვილო, ამ დასავლური ფონდების შედეგებში ყოველთვის შემცირებული მგონია ხოლმე. ასევე, შემცირებული მგონია „ლეიბორისტული პარტიის“ მხარდამჭერთა რაოდენობაც. ეს გარკვეულ მოსაზრებათა გამო ხდება „პატრიოტთა ალიანსთან“ მიმართებით, რადგან ფონდები პროდასავლურები არიან, იქაურ ინტერესებს წარმოადგენენ საქართველოში და მიაჩნიათ, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ პრორუსული ძალაა. ამიტომაც უმცირებენ შედეგებს. თუ ამას დავამატებთ კიდევ 8%-ს, რომელიც, ამავე ორგანიზაციის კვლევის თანახმად, რომელიმე პარტიას მისცემდა ხმას, ჯამში მივიღებთ 49%-ს. აქედანაც მარტივად გამოდის, რომ 51% ვერ ხედავს აზრს, რატომ უნდა მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, ამიტომაც არ მისცემდა ხმას არც ერთ პოლიტიკურ ძალას. თუ უფრო კრიტიკულად შევხედავთ ამას, ეს რაოდენობა სადღაც 55-60%-მდეა. ამიტომ თქვენი სამართლიანი შენიშვნის მიუხედავად, რომ იქნებ, როგორც ცივილიზებულ ქვეყნებშია, პოლიტიკურად აქტიური მოქალაქე არც იყოს საჭირო, მე ამას ვეთანხმები, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჯერ ძალიან ადრეა საამისოდ, ჩვენ ასეთი ფუფუნების უფლება გვქონდეს. მით უმეტეს, როცა ევროპარლამენტის ბოლო არჩევნებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ ელექტორატის რაოდენობა, რომელმაც ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო და ამას უკავშირებენ ევროსკეპტიკოსების და ნაციონალ-პოპულისტების ავტორიტეტის ზრდას, ანუ, როდესაც პრობლემა საერთო ეროვნულ ხასიათს იღებს, ევროპაშიც კი იზრდება არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა.

**— ეს ნიშნავს, რომ, თუკი საქართველოშიც საერთო ეროვნული ხასიათის პრობლემის გადაჭრას დაისახავენ ჩვენი პოლიტიკოსები მიზნად, მათ გაცილებით მეტი წარმატების შანსი ექნებათ?**

— ეს იმაზე მეტყველებს, რომ, თუ ჩვენს საზოგადოებას შევთავაზებთ რეალურ პერსპექტივას, სხვა გზას, სხვა ხედვას, სხვა ლიდერებს, სხვა პერსონებს, მაშინ საქართველოსნაირ ქვეყანაში მინიმუმ 75%-იანი მაინც უნდა იყოს არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა ამ ეტაპზე. ამ დროს რა ხდება დღეს? საქართველოში პასიურ ელექტორატზე (50-60%-ზე) დაიწყო ნადირობა. ესეც დემოკრატიული ქვეყნისთვის ბუნებრივი პროცესია, მაგრამ ეს ნადირობა რამდენადმე ბუტაფორიული მგონია, რადგან საქართველოში პოლიტიკას, სამწუხაროდ, სჭირდება ფული. საქართველოში არ არსებობს სხვა ფული, სხვა ეროვნული კაპიტალი, სხვა სახის ფინანსური რესურსი, გარდა ბიძინა ივანიშვილისა. ბუნებრივია, მას მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება, რახან ის პოლიტიკურ სივრცეში ფინანსური რესურსის თვალსაზრისით დომინირებს. თანაც ჩვენში არსებობს მავნე ტრადიცია, რომ ბიზნესი მხოლოდ სახელისუფლო ძალას უჭერს მხარს, რათა ხელისუფლებასთან პრობლემები არ შეექმნას. ამიტომ ეს ბრძოლა ცოტა ჰაერშია გამოკიდებული და, ვიდრე საქართველოში არ გამოჩნდება სხვა ფული, გარდა ივანიშვილის ფულისა და ფარული რესურსისა, რომელიც დიდი მასშტაბით არ იხარჯება, არაფერი შეიცვლება. ფარულ რესურსში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ ბიზნესმენებს და „ნაციონალების“ ლიდერთა კონტროლირებად ფულს ვგულისხმობ ოფშორებში, თუ სხვა სივრცეში, სადაც ჩვენ არ მიგვიწვდება ხელი, რომ ვაკონტროლოთ ეს ფული და ვიცოდეთ, რა მოცულობისაა.

**— როგორ ფიქრობთ, „ნაციონალები“ ენთუაზიაზმით ხარჯავენ ოფშორულ ფულს, თუ უკვე დაინახეს, რომ ტყუილად იხარჯებიან?**

— მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ იხარჯება „ნაცმოძრაობის“ განკარგულებაში არსებული ფული. სხვათა შორის, ეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის არჩევნებმაც ცხადყო, რომ მათ მაინცდამაინც ბევრი ფული არ დაუხარჯავთ. შესაძლოა, ასე იოლად არ ხარჯავს სააკაშვილი თავის კონტროლირებად რესურსს და სხვა რამისთვის სჭირდება ეს რესურსი, მაგრამ რეალურად სხვა ფული არ არსებობს. ასეთ ვითარებაში წინა პლანზე მოდიან პოპულისტები, რადგან პოპულარულ იდეას შესაძლოა, არ დასჭირდეს დიდი ფული, შესაძლოა, ავტორიტეტსაც არ დასჭირდეს დიდი ფული. ეს არა მარტო ჩვენი პრობლემაა, არამედ ამერიკული და ევროპული დემოკრატიის პრობლემაცაა, სადაც გამოცოცხლდა ნაციონალისტური და პოპულისტური ფრთა, რომელსაც ნაკლები ფული და მჟღერი იდეა სჭირდება. ასეთი პერსონები და ძალები საქართველოში თითქმის არ არის, თუ არ ჩავთვლით ლევან ვასაძეს, რომელიც შემოვიდა პოლიტიკაში დიდი ფულის გარეშე. ვასაძე დაახლოებით სადღაც 10-15%-იან ელექტორატს მიიმხრობს, განსაკუთრებით, თუ ეკლესიამაც დაუჭირა მხარი. სხვა ასეთ ფიგურას, ვისი პოლიტიკური რენომეც გულისხმობს მწირი რესურსით წარმატების მიღწევას, მე ვერ ვხედავ. თავის დროზე საზოგადოების შემკრებისა და გამაერთიანებლის როლი ითამაშა „დაიცავი საქართველოს“ იდეამ და, ფაქტობრივად, გადაწყვიტა 2012 წლის არჩევნების ბედი, მაგრამ „დაიცავი საქართველო“ ამ ეტაპზე ისე პოპულარული არ არის და არც შეიძლება იყოს. ეს ფილარმონიაში მათ მიერ ჩატარებულმა თავყრილობამაც აჩვენა.

რაც შეეხება იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც გამოეყვნენ „ოცნებას“ და ახლა აპირებენ პარტიების დაფუძნებას, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიმხრობა შეუძლიათ ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძეს, ზვიად კვაჭანტირაძეს, ლევან გოგიჩაიშვილს, ლევან კობერიძეს, დავით ჭიჭინაძეს. თუმცა ფინანსური რესურსის არქონის პირობებში მათ თავიანთი მიზნის შესრულება გაუჭირდებათ და შეიძლება 3%-იანი ბარიერიც ვერ გადალახონ. ამის მიუხედავად, მაინც მგონია, პოლიტიკურ ველზე გამოსასვლელად უფრო მეტი მზაობა ჯერჯერობით აქვს ბესელია-ფოფხაძე-კვაჭანტირაძის სამეულს, თუკი ისინი კიდევ მიიერთებენ სახელებს, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება, 3%-ზე უფრო სერიოზული მიზანი ჰქონდეთ. ჩვენთან, სამწუხაროდ, ჰგონიათ, თუ ადამიანი მსოფლიო დონის ხელოვანი ან სპორტსმენია, ის პოლიტიკაში რაიმე სიახლეს მოიტანს. ვერაფერსაც ვერ მოიტანს, თუ მას არ ექნება იდეები და ხედვა.

**— ლევან გოგიჩაიშვილი ახსენეთ, ის არაფერს ამბობს, მაგრამ თქვენ თუ ფლობთ ინფორმაციას, რას ელოდება გოგიჩაიშვილი?რა უნდა იყოს მიზეზი, რის გამოც ბესელიას გვერდში დგომა არ ისურვა მაშინ, როცა თავგადაკლულად ბესელიას გვერდით იდგა მისი პირადი საკითხის განხილვისას?**

— ლევან გოგიჩაიშვილი პოლიტიკოსია და პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს, ამაში დარწმუნებული ვარ. ვფიქრობ, ლევანი მოლოდინის რეჟიმშია, ის ეძებს საკუთარ ადგილს ამ პოლიტიკურ სპექტრში, ეძებს მისთვის უფრო მისაღებ პარტიას და ისეთ პოლიტიკოსებს, რომელთა გვერდითაც ბრძოლაში ბოლომდე დადგება. ასეთად ის ჯერჯერობით, როგორც ჩანს, არ მიიჩნევს პარტიას „სამართლიანობისთვის“.

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

**როგორც იცით, კვირას, ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიაზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ მორიგი რეზოლუცია მიიღეს. მაგრამ რა პრაქტიკული და სამართლებრივი დატვირთვა აქვს რეზოლუციებს, რომლებსაც საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს შესახებ იღებენ?**

**როდესაც დიპლომატები და პოლიტიკოსები ოკუპაციის შესახებ მრავალმხრივი ურთიერთობების ფორმატში მიღებული დოკუმენტების წარმატებაზე საუბრობენ, ხშირად ჩნდება კითხვები იმათ ფუნქციაზე — რას შეცვლის რეზოლუცია იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც რუსული ოკუპაცია ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია?**




# ფეხბურთში გაცვლილი მხარდაჭერა

## გაეროს მრავალმხრივ რეზოლუციებს „რა სჯობს“

გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი კახა იმნაძე ამბობს, რომ ეს კითხვა ლეგიტიმურია. დიპლომატი განმარტავს, რომ მსგავსი დოკუმენტები საერთაშორისო თანამეგობრობის ძლიერი გზავნილია, რაც მოწინააღმდეგესთან სამუშაოდ, მნიშვნელოვან ფონს ქმნის. ელჩის თქმით, სწორედ მსგავსი დოკუმენტების მაღალი გავლენის გამო, მათ წინააღმდეგ რუსეთი ყოველწლიურად მნიშვნელოვან რესურსს ხარჯავს.

გაეროში საქართველოს მუდმივმოქმედი წარმომადგენლობა დევნილთა სტატუსის შესახებ რეზოლუციას გენერალური ასამბლეის წინაშე 2008 წლიდან წარადგენს. წლების განმავლობაში, დოკუმენტის მომხრე და მოწინააღმდეგე ქვეყნების რაოდენობა იცვლება. დინამიკა აჩვენებს, რომ მომხრე ქვეყნების რაოდენობა, ძირითადად, იზრდება, მოწინააღმდეგე ხმათა რაოდენობა კი მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. მაგალითად, 2008 წელს რეზოლუციას 14 მომხრე და 11 მოწინააღმდეგე ჰყავდა, 105-მა ქვეყანამ თავი შეიკავა. წელს, რეზოლუცია ციფრებში ასე გამოიყურებოდა — 79 მომხრე და 15 წინააღმდეგი, 57-მა ქვეყანამ კი კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

გასული წლებისგან განსხვავებით, წელს რეზოლუციის ინიციატორი მხოლოდ საქართველო არ ყოფილა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა სტატუსის შესახებ რეზოლუციის თანაავტორი და წარმდგენი, საქართველოსთან ერთად, გაეროს წევრი კიდევ 44 ქვეყანა იყო. კახა იმნაძე ამბობს, რომ ამ გარემოებამ დოკუმენტი კიდევ უფრო წონადი გახადა.

44 ქვეყნის მიერ რეზოლუციის ავტორობისა და ინიცირების გაზიარებას, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნევს. ასეც არის, თუმცა, ამ გარემოებასთან ერთად, საინტერესოა კენჭისყრის შედეგები. გასულ წელს რეზოლუციას მხარი 81-მა ქვეყანამ დაუჭირა, 2 ქვეყნით მეტმა, ვიდრე წელს. კახა იმნაძე ამბობს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში, მარტივი არითმეტიკით ვერ იხელმძღვანელებ და ქვეყნების მიერ პოზიციის ცვლილების შესაძლო თეორიულ მიზეზებზე საუბრობს. დიპლომატი განმარტავს, რომ კონკრეტული ქვეყნის გადაწყვეტილებაზე გავლენა შესაძლოა, ბევრმა ფაქტორმა იქონიოს. მათ შორის მოვლენებმაც, რომლებსაც ერთი შეხედვით, საერთაშორისო ურთიერთობებთან არანაირი ლოგიკური ბმა არა აქვს. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, სპორტული ღონისძიებები.

**კახა იმნაძე, „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას გასული წლების გამოცდილებას იხსენებს. მისი თქმით, იყო შემთხვევა, როდესაც კონკრეტული ქვეყნის წარმომადგენელმა, რეზოლუციის კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი მხოლოდ იმის გამო შეიკავა, რომ მალევე რუსეთში საფეხბურთო მატჩი იყო დაგეგმილი. ამით დიპლომატი შეეცადა, მისი ქვეყნის ლიდერისთვის, რომელიც რუსეთში დაგეგმილ მატჩს უნდა დასწრებოდა, შესაძლო უხერხულობა აერიდებინა.**




სწორედ ასეთი შემთხვევების გამო ქართველი დიპლომატი განმარტავს, რომ წლიდან წლამდე ხმათა რაოდენობის უმნიშვნელო ცვლილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. დიპლომატის თქმით, შესაძლოა, ქვეყნებს ჰქონდეთ საუკეთესო ორმხრივი, პარტნიორული ურთიერთობა, თუმცა როცა ჯერი მრავალმხრივ ურთიერთობებზე დგება, ზოგადი პოლიტიკური ფონი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მიუხედავად ამისა, დიპლომატებს უწევთ, უპასუხონ საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს იმაზე, თუ რატომ იცვლიან კონკრეტული ქვეყნები პოზიციებს? თუ კენჭისყრის შედეგებს მარტივი არითმეტიკის წესებით გამოვითვლით, მივიღებთ შედეგს — რეზოლუციამ წელს 4 მხარდამჭერი ქვეყანა დაკარგა, 2 კი დაემატა.

პირველად, რეზოლუციის არსებობის ისტორიაში, მას მხარი დაუჭირა სინგაპურმა. პანამამ კი, რომელიც რეზოლუციას, როგორც წესი, მხარს უჭერდა, შარშან თავი შეიკავა, წელს კი ისევ მხარდამჭერთა რიგებში გადავიდა. ანტიგუა და ბარბუდა, ლიბერია, სან-ტომე და პრინსიპი, საუდის არაბეთი, ის ოთხი ქვეყანაა, რომლებმაც წელს რეზოლუციას მხარი აღარ დაუჭირეს.

**საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი, საუდის არაბეთის პოზიციამ გამოიწვია, რომელთანაც საქართველოს ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობები აქვს. თბილისსა და რიადს შორის მაღალი რანგის შეხვედრები იმართება და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები ისახება. სწორედ ამის გამო გაჩნდა კითხვა, რატომ შეიკავა საუდის არაბეთმა თავი, დოკუმენტის მხარდაჭერისგან.**

ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ამის მიზეზი, შესაძლოა, თავშესაფრის საძიებლად, საუდის არაბეთიდან საქართველოში გაქცეული დების საქმე გამხდარიყო. მაშინ საერთაშორისო პრესა წერდა, რომ საქართველოსა და საუდის არაბეთს შორის, უვიზო მიმოსვლის გამო, საქართველო თავშესაფრის მაძიებელი ქალებისთვის ტრანზიტულ ქვეყნად იქცა.

ქართველი დიოპლომატი ამბობს, რომ კენჭიყრამდე რამდენიმე დღით ადრე, საუდის არაბეთის წარმომადგენლთან კომუნიკაცია ჰქონდა და მისი პოზიციის შესახებ იცოდა. გახდა თუ არა საუდის არაბეთის თავშეკავების მიზეზი „დების საქმე“? — კითხვაზე კახა იმნაძე პასუხობს, რომ არ სურს, სიღრმეებში შევიდეს.

სოციალურ ქსელში საუდელი დების მიმართვა 16 აპრილს გავრცელდა. ისინი ამბობდნენ, რომ საუდის არაბეთიდან საქართველოში გაიქცნენენ, რადგან ოჯახის წევრებისგან საფრთხე ემუქრებოდათ. დები დაცვას გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს თხოვდნენ და აცხადებდნენ, რომ საფრთხე თბილისშიც ემუქრებოდათ, რადგან მათი თქმით, საქართველოში მათ მამა და ძმა ეძებდნენ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, დებთან დაკავშირებით, ოფიციალური განცხადება 18 აპრილს გაავრცელა. უწყებამ განმარტა, რომ ოჯახის წევრები, რომლებზეც დები ალ-სუბაიები მიუთითებდნენ, რომ საფრთხე ემუქრებოდათ, საქართველოში არ იმყოფებოდნენ. შსს-მ სუბაიების თანხმობის შემდეგ ისინი თავშესაფრის მაძიებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების გასავლელად, ლტოლვილთა საკითხების სამმართველოს მიმღებ ცენტრში გადაიყვანა. შვიდ მაისს კი დებმა სოციალური ქსელით განაცხადეს, რომ საქართველო დატოვეს და ახალი ცხოვრების დასაწყებად სხვა ქვეყანაში გაემგზავრნენ. უსაფრთხოების მიზნით, მათ არ დაასახელეს ქვეყანა, რომელმაც თავშესაფარი მისცა.

## სომხეთმა 2008 წლის შემდეგ პირველად საწინააღმდეგო პოზიცია არ გამოხატა!

**რეზოლუციის 11-წლიანი არსებობის ისტორიაში წელს პირველად მოხდა, რომ სომხეთმა მის წინააღმდეგ ხმა არ მისცა, რეზოლუციის მიმართ პოზიცია საერთოდ არ გამოხატა. სომხეთის წარმომადგენელი კენჭისყრისას დარბაზში არ იმყოფებოდა. საქართველოს საგარეო უწყება და თავად გაეროში საქართველოს წარმომადგენელიც, სომხეთის ნაბიჯს პოზიტიურად აფასებს. დიპლომატი განმარტავს, რომ კონკრეტული დოკუმენტის მიმართ პოზიციის გამოხატვისგან თავის შეკავება, დიპლომატიურ წრეებში მიღებული პრაქტიკაა და უმრავლეს შემთხვევებში პოზიტიურად აღიქმება.**

სომხეთის წარმომადგენლობის დიპლომტიური ნაბიჯი თვისობრივად საინტერესო მოვლენაა. წინა წლების გამოცდილებით, როდესაც სომხეთი რეზოლუციის წინააღმდეგ აძლევდა ხმას, რეგიონში მდგომარეობა ასე აღიქმებოდა — არსებობდა საქართველოს მიერ ინიცირებული რეზოლუცია, რომელსაც ოთხი მეზობელი ქვეყნიდან, ორი ეწინააღმდეგებოდა. ერთი სომხეთი იყო, მეორე კი რუსეთი, რომელიც რეზოლუციის არაპირდაპირი მხარეა. არაპირდაპირი, რადგან რეზოლუცია პირდაპირი მნიშვნელობით არ ეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა, დოკუმენტი ამას თავისთავად გულისხმობს,ვინაიდან მასში ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი საქართველოს ტერიტორიებადაა მოხსენიებული.

რამ განაპირობა სომხეთის გადაწყვეტილება, მიზეზებსა და მიზნებზე პოლიტიკურ ექსპერტებსა და ანალიტიკოსებს შეუძლიათ, იმსჯელონ. ოფიციალური პირები კი, ყოველ შემთხვევაში დიპლომატები, ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ. „ამერიკის ხმამ“ გაეროში სომხეთის წარმომადგენლობისგან კომენტარის მიღება სცადა, თუმცა წარმომადგენლობის ოფისი მედიასთან ამ საკითხზე არ საუბრობს.

სომხეთის პრემიერ-მინისტრის ყოფილი მრჩეველი კი „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას ამბობს, რომ რევოლუციის შემდეგ, სომხეთის პრიორიტეტი საქართველოსთან ურთიერთობების გაუმჯობესებაა. თუმცა, ნიკოლ პაშინიანის ყოფილი მრჩეველი გაეროში სომხეთის წარმომადგენლობის ქმედებას ორი ქვეყნის ურთიერთობებში დიდ წინსვლად არ მიიჩნევს.

ნებისმიერ შემთხვევაში, 2019 წლის რეზოლუცია, რამდენიმე პარამეტრით ქვეყნის დიპლომატიური წარმატებაა. ამ წარმატებას, განსაკუთრებულ წონას დოკუმენტის თანასპონსორი ქვეყნების არსებობა განაპირობებს.

**რეზოლუცია გმობს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს. ადასტურებს დევნილთა უფლებას, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში ღირსეულად და უსაფრთხოდ. ხაზს უსვამს მათი საკუთრების უფლების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობას.**

ამასთან, რეზოლუცია ხაზს უსვამს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ჰუმანიტარული საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების გადაუდებელ საჭიროებას. რეზოლუცია მოუწოდებს ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეებს, გააქტიურონ ძალისხმევა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გაეროს გენერალურ მდივანს კი საქართველოში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის მდგომარეობისა და რეზოლუციის შესრულების თაობაზე ყოველწლიური ანგარიშის მომზადებას ავალებს.

რეზოლუციის წარდგენისას, გაეროს გენერალურ ასამბლეას კახა იმნაძემ მიმართა. გაეროში საქართველოს ელჩმა სიტყვით გამოსვლისას ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე მდგომარეობაზე ისაუბრა.

**ქართლოს შარაშენიძე,**
**საბა გუჯაბიძე.**

№ 117. ოთხშაბათი, 12 ივნისი, 2019 წელი.

**რამაზ საყვარელიძის** თვალთახედვით, გამოძიება არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ კალანდიას დაკავებით, რადგან ამ საქმეში გაცილებით მნიშვნელოვანია, ვინ დააფარა ხელი მას და გამოიკვეთოს მოტივი, რითი იყო მოტივირებული ხელის დაფარება. ფსიქოლოგი და პოლიტოლოგი უშვებს, რომ გამოძიებამ, შესაძლოა, კონკრეტული პირის ინტერესის გამო აიხვია თვალი, რადგან ამ საქმეში პროკურატურას „ანგელოზად“ არ მიიჩნევს.

FOR.GE დღეს **რამაზ საყვარელიძეს** ესაუბრა.



# გახარიას „შეცდომა“ ის იყო, რომ მეტისმეტად მკაფიო ფიგურად წარმოჩინდა!

## პოლიტიკაში „დურაკები“ უფრო სასურველნი არიან

**— ზაზა სარალიძის მთავარი მოთხოვნა იყო კალანდიას დაკავება. პროკურატურის „ოქროს მოწმე“ დაკავებულია. შსს ამბობს, რომ ეს იყო უმძიმესი საქმე, მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე მიიღეს კალანდიას დაკავების გადაწყვეტილება. საქმე ეხება არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულს და თავისთავად მძიმე საქმეა, მაგრამ საქმის მთავარი ფიგურანტის დაკავება ჩაითვლება გიორგი გახარიას კარიერაში წარმატებად? ეს იყო პოლიტიკური, თუ სამართლებრივი ნაბიჯი? პოლიტიკური იმიტომ, რომ ოპოზიცია, რომელიც ითხოვდა კალანდიას დაკავებას, დღეს ამბობს, რომ გახარიამ პლუსი ჩაიწერა...**

— თქვენ მიერ გადმოცემულ ამბავშიც ჩანს, რომ პოლიტიკური მოტივები კალანდიას დაკავებამდეც იყო და ძალიან ძლიერი. ეს მოვლენა არ იყო პოლიტიკისგან თავისუფალი. პოლიტიკური მოტივი იყო და, მოგეხსენებათ, რომ სარალიძე გამოეთიშა ამ საპროტესტო პროცესს, თითქოსდა ხელისუფლებას შეეძლო იგივე ტემპით შეყოლოდა ამ პროცესს, როგორც ადრე და სიტუაცია მათ არ აიძულებდა ახლა ამ ნაბიჯის გადადგმას. ამიტომ მგონია, რომ მარტო პოლიტიკური მოტივით არ აიხსნება ხელისუფლების ეს ნაბიჯი.

თქვენ ახსენეთ ამ ასაკის პრობლემები, თავისთავად ბულინგი ისეთი პრობლემური მოვლენაა ყველა კულტურაში, რომ მის გარშემო მტყუან-მართლის გარჩევა ყოველთვის ძნელია. გავიხსენოთ „აღმოსავლეთის ექსპრესი“, ჯგუფურ დანაშაულს რატომ სჩადიან? — იმიტომ, რომ ჯგუფური დანაშაულის გახსნა ძნელია. ასე კონკრეტული ბრალდებით ადამიანის დაკავება, რომ მან დანაშაული ჩაიდინა, მოკლა ადამიანი და ა.შ. რასაც ითხოვს მართლმსაჯულება, ყოველთვის მაღალი არ არის. ამ სირთულეს ძალიან მაღალი პროფესიონალიზმი ესაჭიროება.

აი, ჯეროვანი პროფესიონალიზმი კი, დეფიციტური რამ არის ქართულ სინამდვილეში. თავის დროზე თავად გახარიამ თქვა, რომ პროფესიონალიზმის პრობლემა გვაქვსო. ამ საქმეში შეიძლება იყოს პროფესიონალიზმის პრობლემაც. გარდა ამისა, გადაცდენებიც და, ალბათ, იყო გარკვეული ზეწოლებიც. ოღონდ ეს დიდად გასაკვირი არ არის. ყველა საქმეში არის ხოლმე დაინტერესებული მხარის ზეწოლა.

**— ამ საქმემ აჩვენმა, რომ არაპროფესიონალიზმთან ერთად იყო გადაცდენაც, კერძოდ, პროკურატურამ რაღაცის ხარჯზე ფაქტები დამალა? რაზეც მუდმივად იყო საუბარი და ამ კონტექსტში საუბარი იყო ფინანსურ გარიგებაზეც...**

— პროკურატურა ანგელოზად არ მიმაჩნია და ამ ტიპის დამალვას უფრო ვუშვებ, ვიდრე გამოვრიცხავ. მაგრამ ვუშვებ იმ დონეზე, რა დონეზეც ყველა უწყებაში შეიძლება აღმოჩნდეს ვიღაც დაინტერესებული, რომ გამოძიების მსვლელობის პროცესში გვერდი აუქციოს ჭეშმარიტებას. თუკი ამას პროფესიონალიზმის დეფიციტიც დაემატება, ადვილი თვალის ასახვევი ხდება ესა თუ ის მოვლენა... მე სწორედ ამ ტიპის მოვლენა უფრო მგონია. ადვილი თვალის ასახვევი იყო და შეიძლება, ვინმე კონკრეტული პირის ინტერესის გამო აიხვიეს კიდეც თვალი.

**— და ეს იყო პოლიტიკური მოტივით თვალის დახუჭვა?**



— პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ გატარებულ ღონისძიებებს. სახელმწიფოსთვის წამგებიანი ნაბიჯის გადადგმა ვერაფრით ვერ ჩაითვლება პოლიტიკურ მოტივად. ამ შემთხვევაში დამალვით იდგმებოდა სახელმწიფოსთვის წამგებიანი ნაბიჯი.

**— საგამოძიებო კომისიაზე პროკურატურის და შსს-ს მაღალჩინოსნების პოზიციები რომ გავიხსენოთ, პრაქტიკულად, გამორიცხავდნენ ამ საქმეში კალანდიას ბრალეულობას. დღეს კალანდია ბრალდებულია ამ საქმეზე, მაგრამ ამ ეტაპზე უცნობია, ვინ აფარებდა მკვლელობაში ბრალდებულს ხელს. ალბათ, ეს უნდა გახდეს გამოძიების მთავარი მოტივი, რადგან მკვლელზე არანაკლებ დამნაშავეა ის, ვინც ხელი დააფარა.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ თქვენ მიერ შემოთავაზებულ საკითხს თქვენი ნებართვით კიდევ უფრო გადავღუნავ. არა მარტო ამ საკითხში და ამ ბავშვების ტრაგედიაზე, არამედ ყველა იმ ტრაგედიაზე უნდა დადგეს ანალოგიური საკითხი — სამართალდამცავთა მხრიდან ვინ ჩაიდინა დანაშაული, ეს ავტომატურ პროცესად უნდა იქცეს. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ ჩვენ ეს მდგომარეობა მოგვიწია ახლა და რახან არ ისმის კითხვა — ვინ ჩაიდინა დანაშაული და ვის პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ, მივიღეთ მოსამართლეთა ის სია, რომელიც მივიღეთ.

ისევე როგორც ახლა ითხოვს ოპოზიცია სამართალდამცავების გასამართლებას იმისდამიხედვით, მათ დანაშაულს დააფარეს თუ არა ხელი, ანალოგიურად არის მოსათხოვი იმ პერიოდის დანაშაულზე, რაც 9 წლის წინათ იყო. იქაც უნდა გასამართლდნენ ისინი, ვინც დანაშაულს ან ხელი შეუწყო, ან ხელი დააფარა. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ იმ პროცესს, რაც უკვე მივიღეთ.

ჩემთვის ოპოზიციის პოზიცია სანდო იქნებოდა იმ შემთხვევაში, მათ რომ ასე დაეყენებინათ საკითხი. მაგრამ მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელში მომხდარ უსამართლობაზე აკეთებენ აქცენტს. თავიანთ მხარეს ასეთივე აუცილებლობას ვერ ხედავენ, ამიტომ სიმართლე გითხრათ, მთელი ეს ვნებათაღელვა პოლიტიკურად მოტივირებულად მიმაჩნია.

**— მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ამ შემთხვევაში ხელისუფლება არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ კალანდიას დაკავებით,რადგან გაცილებით მნიშვნელოვანია, ვინ დააფარა ხელი და რა მოტივით?**

— რა თქმა უნდა, უნდა გამოიკვეთოს მოტივი, რითი იყო მოტივირებული ხელის დაფარება. დიდი ეჭვი მაქვს, რომ პოლიტიკა არ ურევია იმ ნაბიჯში.

**— თუმცა გახარიას გადაწყვეტილება ფასდება როგორც პოლიტიკური მოტივი, ვიდრე სამართლებრივი ნაბიჯი. გახარიას კარიერაში ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ყველაზე გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელსაც თავისი მნიშვნელობით ხშირად ადარებდნენ სანდრო გირგვლიანის საქმეს...**

— გეთანხმებით, ხშირად ადარებენ, მაგრამ მეორე მხრივ გახარია იმდენად დინამიკური კარიერის ავტორია, საკმაოდ ენერგიულად მოქმედებს და საკმაოდ მოულოდნელი რაკურსით. ეკონომიკის მინისტრი იყო და უცბად ასეთი თვალშისაცემი ფიგურა გახდა, როგორც სამართალდამცველი. ამიტომ მისი დინამიკურობის გამო, ვერ ვიტყოდი, რომ ეს ყველაზე თვალსაჩინო ნაბიჯია. დიდი ეჭვი მაქვს, რომ გახარიას მხრიდან თვალსაჩინო ნაბიჯები კიდევ ბლომად იქნება.

**— გახარიასთან დაკავშირებით დიდი მოლოდინებია, თუმცა უმრავლესობის წევრების ნაწილი თავს არიდებს გახარიას კონტექსტში დადებითად საუბარს, ნაწილი — პირიქით. უმრავლესობის შიგნით იკვეთება, რომ გახარიასთან მიმართებაში თითქოს ერთიანი პოზიცია არ არის. არსებობს ასეთი ვერსიაც, რომ გახარიას შემდეგი ნაბიჯი პრემიერობა იქნება. რამდენად აქვს ეს შანსი გახარიას და რამდენად სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება? რეიტინგი აქვს, მოსახლეობაში ნდობით სარგებლობს. არ ვიცით, ეს თვალის ჩაკვრით შეძლო თუ „მეგრული ხასიათით“, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ-ერთი ყველაზე მისაღები მინისტრია, უარყოფით კონტექსტში თვით ოპოზიციასაც უჭირს საუბარი...**

— მეგრელები დიდად გონიერი, პატივსაცემი ხალხია, რაც შეეხება გახარიას იმ ასპექტს, რასაც ხაზი გაუსვით, რომ კარგის თქმა უჭირს უმრავლესობას, ეს ძალაუფლების ერთ-ერთი ნიშანია, რომ გარშემო მყოფები დიდად ბედნიერნი არ არიან, როცა ვიღაცა დაწინაურდება. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ შეიძლება გახარიას ერთ-ერთი შეცდომა, თუ ამას შეცდომას დავარქმევთ, ისიც იყოს, რომ ის მეტისმეტად მკაფიო ფიგურად წარმოჩინდა და ხანდახან პოლიტიკაში „დურაკები“ უფრო სასურველნი არიან.

გაიხსენეთ, საბჭოთა კავშირის დროს უფრო ძლიერი ფიგურები იყვნენ გარშემო, მაგრამ ხრუშოვი დასვეს პირველ პირად, რახან ჩათვალეს, რომ მისი მანიპულაცია უფრო ადვილი იქნებოდა. ასე რომ, ძალიან ხშირად ადამიანის გვერდზე გაწევის მიზეზი შეიძლება სწორედ ის იყოს, რომ მეტისმეტად ძლიერია.

**— წლის შეფასებისას გახარიასთან დაკავშირებით ძალიან დიდ იმედებს ამყარებდით და კახი კახიშვილის შემდეგ ყველაზე წარმატებულ მინისტრად დაასახელეთ...**

— თქვენ კარგი მაგალითი გაგახსენდათ ახლა იმის საილუსტრაციოდ, რაც ამწუთას ვთქვი — კახიშვილის შემდეგო. კახიშვილი იმდენად წარმატებული მინისტრი იყო, რომ მისი თანამდებობის შეცვლის დროსაც კი ხაზი გაუსვეს იმას, რომ წარმატება მარტო ერთ სფეროში არ გვინდა, ყველა სფეროში გვინდაო. იყო ასეთი ლაპარაკი, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ წარმატებული მინისტრი იყო, მის მინისტრობას გაგრძელება არ ეწერა. ე.ი. რომელიმე ერთ ადგილას წარმატებულად ყოფნა, პოლიტიკაში არ ნიშნავს იმას, რომ დაგაწინაურებენ, შეიძლება, პირიქით მოხდეს.

**ასეთი დაუნდობელია პოლიტიკა.**

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

## ზვიად კუპრავა სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

**მოსამართლის განცხადებით, არ იყო წარდგენილი ახალი არსებითი გარემოებები, რომელზეც იმსჯელებდა სასამართლო.**

განაჩენის გამოცხადებას სასამართლოს სხდომაზე პროტესტი მოჰყვა.

სხდომაზე უნდა განხილულიყო მხარეების რეპლიკები, ასევე მოსამართლეს დაგეგმილი ჰქონდა განაჩენის გამოცხადება, მაგრამ პროკურორი სხდომაზე არ გამოცხადდა ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით. შესაბამისად, რეპლიკების განხილვა აღარ მომხდარა და მოსამართლემ განაჩენის გამოცხადება გადადო.



საქმე ეხება 2018 წლის 11 ივნისს მომხდარ ფაქტს, რაშიც გამოძიება სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელს სასამართლოს უპატივცემულობაში ედავებოდა. სასამართლოს შენობაში მოსამართლის შეურაცხყოფისთვის მას ბრალი 366-ე მუხლით წარედგინა. აღკვეთის ღონისძიებად კუპრავას გირაო შეეფარდა. გირაოს ქვეშ მყოფმა კი გამოძიების ინფორმაციით, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ერთ-ერთ ადვოკატს ირაკლი ზაქარეიშვილს და მას ძალადობის მუხლით წარედგინა ბრალდება.

გირაოს პირობების დარღვევის — ახალი დანაშაულის შესაძლო ჩადენის, სამართალდამცავ ორგანოში არგამოცხადების, მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებით 21 თებერვალს ზვიად კუპრავას გირაო შეეცვალა პატიმრობით.

# შვილიშვილი ბაბუას ასწავლიდაო!..

№ 117. ოთხშაბათი, 12 ივნისი, 2019 წელი.

(პირველი გვერდიდან)

„იქნება, ყველაფერი იქნება, მაგრამ ამ ქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით“ (გალაკტიონი). რა სასწაულებრივი ხილვები ჰქონდა იმ სულგანათლებულს, ასეთი!

ვაი, რომ წარღვნის მიახლოების ყველა ნიშანი აშკარაა დღეს. თითო-ოროლა კაცის გარდა, ამაზე გულწრფელად არავინ წუხს და არც არავინ ირჯება ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად. ტაშ-ფანდურსა და შოუებს არის გადაყოლილი დიდი და პატარა. ხელისუფლებითა თუ სიმდიდრით, ნარკოტიკებითა თუ სიღარიბით, სიცრუის პროპაგანდის ძლევამოსილი საშუალებებით გაბრუებულ ქართველობას მართლა სჯერა, რომ „იძირება გემი, მაგრამ ყველაფერი რიგზეა!“ იქნება, მართლა ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ვისთვის? ქართველობა თუ გადაშენდება საქართველოში, ზოგიერთი ჩვენი ახლო თუ შორეული „სტრატეგიული მოკავშირის“ სურვილიც ეგ არის და მათთვის დღევანდელ საქართველოში მართლა ყველაფერი რიგზეა, ჩვენთვის კი...

ვაი, ჩვენს პატრონს უბედურს!

...წიგნის მკითხველთა რაოდენობა ბოლო ათწლეულებში კატასტროფულად შემცირდა, კარგი წიგნებისა – განსაკუთრებით. ამიტომ, ბევრს, ალბათ, გაგონილიც არა აქვს XX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი მწერლის ჩინგიზ აიტმატოვის სახელი, რომელმაც თავის საქვეყნოდ გახმაურებულ რომანში – „დღე იყო გრძელი, ვით საუკუნე“ – აგვიხსნა „მანქურთის“ ცნება.

შუა აზიაში „ძლიერნი იმა ქვეყნისათა“ თითოეულ ბავშვს ახლადდაკლული აქლემის ფაშვს ჩამოაცმევდნენ თავზე. ეს ფაშვი ხმებოდა და შეეზრდებოდა იმ უბედური ბავშვის თავის ქალას და ნორმალური გაზრდის საშუალებას აღარ აძლევდა მას. ტან-ფეხი ეზრდებოდა და უვითარდებოდა თავზე აქლემის ფაშვწამოცმულ ბავშვს, ტვინი კი განუვითარებელი რჩებოდა. ასე გამოჰყავდათ პატრონის უსიტყვოდ მორჩილი მანქურთები, რომლებიც იმის ბრძანებებს ასრულებდნენ მხოლოდ, ვინც აჭმევდათ, ასმევდათ და ცოტაოდენ ჯიბის ფულსაც აძლევდათ.

**ახლა ბავშვებისთვის აქლემის ფაშვის თავზე წამოცმა აღარ სჭირდებათ თანამედროვე მანქურთების აღმზრდელებს. დღეს პროპაგანდის საშუალებებით ტვინების გამორეცხვის საქმე უმაღლეს დონეზე აქვთ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“. რომელი აქლემის ფაშვი შეედრება „რუსთავი-2“-ს, ან მის სატელიტ ტელეარხებს, რომლებსაც განუვითარებელი თავებისა და ტვინების კი არა, უმაღლესდამთავრებული თავგასიებული ჯეელების თავების გამობერტყვა შეუძლიათ ისე, რომ გონების ნატამალს არ დატოვებენ შიგ.**

საამისო თვალსაჩინო მაგალითების დანახვას დიდი გამჭრიახობა და მახვილი თვალი არ სჭირდება. აი, ახლახან, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების დღე საზეიმოდ აღინიშნა მთელ მსოფლიოში, ზოგან 9 მაისს, ზოგან 8-ში. იმას, 9 მაისს ვიზეიმებთ ამ დღეს, თუ 8 მაისს, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ უფრო ლეგიტიმური 9 მაისია, რადგან ამ ომის მთავარი მონაწილე და გამარჯვებული საბჭოთა კავშირია და სწორედ 9 მაისი დაადგინეს დღესასწაულად ჩვენმა მამებმა და ბიძებმა, მათმა მთავარსარდალმა და ბელადმა. აბა, ვის უნდა დაედგინა? ეიზენჰაუერსა და მონტგომერს ხომ არა, რომლებმაც ძლივს გაბედეს ომის მიწურულს ევროპაში დესანტის გადასხმა. გერმანიის დედაქალაქი ბერლინი ხომ ჩვენებმა აიღეს და რაიხსტაგზეც დროშა ჩვენებმა აღმართეს! არა, კიდევ ვიმეორებ, ვისაც უნდა 8 მაისს იზეიმოს, თუნდაც სულაც ნუ იზეიმებს, კაცია და გუნებაა, თანაც ახლა დემოკრატიაა და ვერავის აიძულებს, იმღეროს და იცეკვოს მაშინ, როცა არც ემღერება და არც ეცეკვება. სავალალო და თავში საცემი ის ზღვარდაუდებელი უზნეობაა, რაც ქართველმა მანქურთებმა (პირობითად, თორემ მანქურთს ეროვნება არა აქვს!) ჩაიდინეს 9 მაისს. ზნეობრივი წარღვნის ნიშანი უფრო ის არის, რომ ამ მანქურთების უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ...

ახლა ვიღაც მანქურთი ჩემზეც იტყვის: ეს ვიღაც არის, საბჭოთა დეპოშია ჩარჩენილი და თავისი და სხვისი ომი ვერ გაურჩევიაო. ვაი, თქვენს პატრონს, უბედურს! ამ დიდი ომის მთავარსარდალი, რომელსაც იმედით შეჰყურებდა კაცობრიობა (უინსტონ ჩერჩილმა თავის მემუარებში აღიარა ეს!) განა იოსებ ჯუღაშვილი – სტალინი არ იყო? ხოლო ომის საიდუმლო მხარეს განა მარშალი ლავრენტი ბერია არ სარდლობდა? ბერლინში, რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა განა მელიტონ ქანთარიამ არ აღმართა ეგოროვთან ერთად? ამ ომის ფრონტებზე განა 700 ათასი ქართველი არ იბრძოდა, რომელთაგან 300 ათასი ფაშისტურ ურჩხულთან ბრძოლას შეეწირა! ამერიკელებს კი ევროპაში საომარი „გასეირნება“ ომის ბოლოს 90 ათას კაცად დაუჯდათ, რიგითი რაიანის გამოკლებით.

ჩვენი ომი იყო, თქვე უჯიშო მანქურთებო, აბა, ვისი?

გორელმა მანქურთებმა ხომ არა მარტო უვიცობის, არამედ აგრესიული უზნეობის კლასიკური მაგალითი გვიჩვენეს: სტალინის ძეგლი ხომ ჩამოვაგდეთ (გორშიო, კაცოო!), ახლა სტალინის ქუჩასაც უნდა გადავარქვათ სახელიო, – გაჰკიოდნენ ეს უბედურ დღეზე გაჩენილები.

**ნეტავი, თუ იცით, თქვე, საცოდავებო, რომ პარიზში არის სტალინგრადის მოედანი, ხოლო ლაიფციგში მემორიალური დაფაა გაკრული იმ სახლზე, სადაც 1913 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში ცხოვრობდა სტალინი. არც სტალინის, არც დავით აღმაშენებლის, არც გიორგი სააკაძის სიყვარულს თხოვს ვინმე ვინმეს, მაგრამ ქართველი თუ ხარ, შენი დიდი წინაპარი არ უნდა გეამაყებოდეს? ინგლისელი ლორდი და დიდი სახელმწიფო მოღვაწე ჩერჩილი, ამერიკის დიდი პრეზიდენტი რუზველტი, საფრანგეთის ეროვნული გმირი, გენერალი და ლეგენდარული პრეზიდენტი დე გოლი თუ ამაყობდნენ სტალინთან ნაცნობობით, შე გლახა, შენ გეუხერხულება მისი თანამემამულეობა? მანქურთი ხარ და შენ არც წინაპარი გყავს, არც წარსული გაქვს და არც მომავალი, ერთი უბადრუკი აწმყო გაქვავია მხოლოდ და ისიც იმიტომ, რომ პირში უცქირო შენი ტვინის გამომრეცხავებს! სხვა რამე არც შეგიძლია და არც მოგეთხოვება!**




ასეთები თუ კიდევ უფრო გამრავლდნენ (არა და, ძალიან სწრაფად მრავლდებიან არასამთავრობოებად, „გირჩებად“, „რკოებად“ და ჯანდაბებად!), ეროვნული წარღვნა იქნება ეს, სწორედ!

სულ ვცდილობ, რაღაც გონიერება დავინახო ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკის საშინაო თუ საგარეო ასპარეზზე, წარსულისა და აწმყოს ელემენტარული ცოდნა მაინც შევამჩნიო მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებში, მაგრამ რაც არ არის, რას შეამჩნევ? უგუნურობა და სიბრიყვე – რამდენიც გინდა! ის, რაც 9 მაისს ბათუმში მოხდა, პოლიტიკური დეგენერატობის, ზნეობრივი გამოთაყვანებისა და მებრძოლი უვიცობის ზეიმი არ იყო, განა? გამარჯვების ზეიმზე ბავშვების (ალბათ, რუსი ბავშვების!) ერთი ჯგუფი რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშით მოვიდა... და კინაღამ ჩაქოლეს ლიბერასტმა ვაი-უი-ქართველებმა, რომლებიც თავიანთ მანქურთულ თავებს პატრიოტებს უწოდებენ. ხელისუფლებამ რა ქნა? გამოხატვის უფლება დაიცვა და ლიბერასტი აქტივისტები ალაგმა? აბა, კი! აჭარის განათლების მინისტრი მოხსნა, ის რუსი ბავშვები რატომ შემოუშვით ზეიმზე თავიანთი დროშითო!

წარღვნის ნიშანი არ არის ეს? ამას ვინც ვერ ხედავს, მის ტვინში წარღვნა დაწყებულია უკვე!

ჩვენს ხელისუფლებას ყველასი ეშინია – რასმუსენისა და მოგერინის, ბუკიკიოსი და ბრაიზასი, ვენეციის კომისიისა და სტრასბურგის სასამართლოსი, ნაცბანდისა და ძლევნიჭამია (ანუ გრანტიყლაპია) არასამთავრობოებისა და ა. შ. საკუთარი ხალხის გარდა.

ამას წინათ, ადა მარშანიას უთქვამს, ყოველ ათ ქართველ პოლიტიკოსში, რვა შიზოფრენიკიაო. სწორად შეუნიშნავს ქალბატონ ადას ამ ე. წ. პოლიტიკოსთა არანორმალურობა, მაგრამ დიაგნოზი არა მგონია ზუსტი იყოს. ისინი შიზოფრენიკები კი არა, მამონას მონები არიან და მტრის დავალებებს ასრულებენ მდიდრული ძღვენის (გრანტის) სანაცვლოდ, გულგრილად ჰყიდიან სამშობლოს ინტერესებს, აწმყოსა და მომავალს!

**არაერთხელ მითქვამს და უნდა გავიმეორო ისევ: რომსა და ბიზანტიის იმპერიები არც ეკონომიკურ სიდუხჭირეს დაუნგრევია და არც სამხედრო რესურსების სიმცირეს. უზნეობამ დაანგრია და უკვალოდ გააქრო ისინი! ისტორიის ანალებში თავშეფარებულები დარჩნენ მხოლოდ. ჩვენ რა მოგვივა, პატარა, „ყოველგნით ხელაღუპყრობელ“ ერს, სადაც უზნეობის პროპაგანდა და აპოლოგია დაუნდობლად უტევს ყოველგვარ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს! რაც მოგვივა და მოგვივიდა უკვე, მისი დანახვა ძნელი არ არის.**

აი, მთლად გუშინდელი მაგალითი ამისა: 17 მაისი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა და ამ დღეს დიდ სახალხო მსვლელობასთან ერთად, ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის წარმომადგენლებმა კონცერტი გამართეს სამების ტაძრის ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, ამ დღეს ლგბტ თემის (ანუ ლესბოსელებს, მამათმავლებს, პედარასტებს) აქტივისტებს აღლუმის ჩატარება სურდათ რუსთაველის (!!!) გამზირზე. რადგან წარღვნას ჯერ კიდევ არ წაულეკავთ ქართველთა და ჩვენთან მცხოვრები სხვა ხალხების წარმომადგენელთა ადამიანური ცნობიერება, ასეთი აღლუმი არ დაუშვეს ამჯერად. ბუნებრივია, ამან გააცეცხლა (თუ გაანავთა!) ნეოლიბერალები, ანუ უფრო გასაგებად თუ ვიტყვი, ლიბერასტები და, როგორც ჩანს, ამ ღვთისპირიდან გადავარდნილმა უმცირესობის უმცირესობამ თავიანთი აქაური და იქაური ძღვენიჭამიების მხარდაჭერით აგრესიულად შეუტიეს იმ მომღერლებსა და მუსიკოსებს, რომლებსაც სამების ეზოში გამართულ კონცერტში უნდა მიეღოთ მონაწილეობა და... ბევრმა მათგანმა პედარასტების დამცველთა მუქარის შიშით ჩაისვარა და ამყრალებულები კონცერტზე ხომ ვეღარ მივიდოდნენ. ზოგი ნამუსის რაღაც ნატამალმა შეაწუხა და ბოდიში მოიხადა, ზოგი უკვალოდ გაქრა ამ „სამზეოდან“ და ზნეობრივ წყვდიადს შეერია.

**რა გაქვთ „ხელოვნების ვარსკვლავებო“ იმისთანა სიგლახე ჩადენილი, რომ მისი გასაჯაროებით გატერორებენ ეს უჯიშო ლგბტ-ს მებაირახტრენი? იქ, სადაც გაუკუღმართებული ცნობიერება, რომელიც კაცთან კაცის ქორწინებას „განსხვავებულ ორიენტაციად“ მიიჩნევს, ადამიანურ ზნეობაზე მაღლა დგება და სადაცაა სრულ ბატონობასაც მიაღწევს, შორს არის წარღვნა? არა! წარღვნა კარსაა მომდგარი, რადგან კაცობრიული ზნეობრიობის ისეთი დამცველი, რომლის ხელშიც არის უფლებები და ძალაუფლება, არსად ჩანს! ამ ცოტა ხნის წინ შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას კაცურმა განცხადებამ - მე მამათმავლების ინტერესების დამცველი ვერ ვიქნებიო - იმედით ამავსო, მაგრამ ახლა იმისი მეშინია, არ გამოვიდეს ან პრეზიდენტი ან პრემიერი, ან რომელიმე „დიდი კაცი“ და არ თქვას, ეგ გახარიას პირადი მოსაზრებაა და არა ხელისუფლების ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელის პოზიციაო. ე, მაშინ კი წარღვნა აუცილებლად მოხდება და არ იფიქრონ იმ „დიდმა კაცებმა“, რომ ისინი მშრალზე დარჩებიან.**

სწორედ გუშინ, ქართული ტელევიზიების ერთ-ერთ ბილწ არხზე ლგბტ თემის შაბაშის საღამო იყო. როგორ იმუქრებოდნენ ეს მახინჯები, ჩვენ ბევრნი ვართ და გეშინოდეთ ჩვენიო. ჩვენ ყველგან ვართო, ცხოვრების ყველა სფეროშიო, არავის არაფერს შეგარჩენთო.

ხალხო, თუ წარღვნა ჯერ კიდევ მართლა არ დაწყებულა, გავხსნათ სამკურნალო ფსიქიატრიული კლინიკა-საავადმყოფოები, იქნებ თავიდან ავიცილოთ ის უბედურება, რაც კარს მოგვდგომია...

ქვეყანაში, სადაც ლაჩრები სამაგალითო ვაჟკაცებად მიაჩნიათ, მამათმავლები (აქტიურებიც და პასიურებიც!) ნიჭიერებით გამორჩეული ადამიანები ჰგონიათ, ამას, ვინც ოცდაცამეტივე ქართული ასო იცის, გენიალურ მწერლად აღიარებენ, წმინდა წყლის სულელის ტელეპრუტუნზე იცინიან (მართალია, ფონოგრამის ხელშეწყობით, მაგრამ მაინც!), წერა-კითხვის მცირემცოდნე, მაგრამ ენაწაგდებული კაცები და ქალები პოლიტიკოსებად და ექსპერტებად უზით, თუ ძლაიან ოპტიმისტები არ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ წარღვნა უკვე დაწყებულია.

ამიტომაა, რომ აღარავის ესმის იმ ორიოდე მართალი გაზეთისა თუ ტელეარხის განწირული ძახილი, თხოვნა, თუ მუდარა: გამოფხიზლდი გონიერო საქართველოვ და დროზე გაატანე გამდინარე წყალს ყველა უწმინდურება და ბოროტება; დაიჯერე, რომ ჩვენ ბევრნი ვართ, მაგრამ გათითოკაცებულნი, უზნეო-უწმინდურები ცოტანი არიან, მაგრამ ძლვენიჭამიობით (გრანტიყლაპიობით) გაერთიანებულნი და ბევრი ჩანან, ამიტომ! გქონდეთ უფლის იმედი და არ გეშინოდეთ სატანისა! მაშინ ღმერთი თქვენთან იქნება, უთუოდ!

გაიგებენ კი ქართველები ოდესმე იმ განათლებული ქართველი მამულიშვილების ღაღადისს, რომელთათვისაც სამშობლოა ყველაზე მთავარი! ეჭვი მეპარება, რადგან ბრძენმა ილია მართალმა, ამ საუკუნენახევრის წინ რომ დაახასიათა თავისი თანამემამულენი, ასეთი თვისებები დაინახა მათში: „მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, არ რის მქონე, არ რის მცოდნე...“ აბა, როგორ გინდა, გააგებინო ამნაირებს, ვინ მტერია და ვინ მოყვარე! საქართველოს ერთმა ყოფილმა ძალიან უფროსმა, მსოფლიოს პოლიტიკური არქიტექტურის „დიდმა მაესტრომ“ აკი გვითხრა ერთხელ, თურქეთი საქართველოს ისტორიული მეგობარიაო. ბოლოს კი დაგვიბარა: ბუში, გენშერი და ბეიკერი ჩემი მეგობრები არიანო. კი, როგორ არა, ბავშვობაში ოხრებს ერთად მწყემსავდნენ გუბაზოულის ჭალაში!

ათადან და ბაბადან მოყოლებული, არავის უკადრებია ჩვენთვის, ქართული კულტურა ძალადობრივი კულტურააო. დასავლეთმა კი გვაკადრა და თან ბატონკაცურად გვიბრძანა, მამათმავლებს, ლესბოსელებსა და სხვა გაუკუღმართებული ფსიქიკის ადამიანებზე აუგი არაფერი დაგცდეთ, თორემო...

თორემ რა, ქალბატონო ფედერიკა და სხვანო და სხვანო? დავით გურამიშვილმა ამ სამი საუკუნის წინ რა გვითხრა, თუ იცით? არ იცით და ახლა გაიგონეთ: „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო“-ო. გაიგონეთ და თუ დაიხსომებთ, იქნებ გეშველოთ რამე და ოსვალდ შპენგლერის ნაწინასწარმეტყველები ევროპის დაისი ევროპის აისმა შეცვალოს. რა იცით, ღმერთი მაღალი და ყოვლად ძლიერია!

**ისეა თქვენი საქმე, როგორც ერთ მოარულ ქართულ ანდაზაშია: „შვილიშვილი ბაბუას... ასწავლიდაო!“**

**ახლა მე ევროპის პოლიტიკურ ელიტას ისტორიის ანაბანას ვერ ვასწავლი, მაგრამ წიგნიერმა ქართველმა ხომ უნდა იცოდეს ეს? თუ, რა თქმა უნდა, მანქურთი არ არის, ან მწვანე დოლარებზე არ აქვს გაყიდული სინდის-ნამუსი და, საერთოდ, ადამიანობა!**

**ასე, რომ თანამემამულენო, სხვებთან ერთად მეც გაფრთხილებთ, დროზე მოვიცილოთ შხამიანი მკბენარები, ათასგვარი უზნეობის გამავრცელებელი ორგანიზაციები, ფაროსანასავით რომ მოსდებიან ჩვენს (და სხვათა!) ეროვნულ სხეულს, თორემ წარღვნა კარს არის მომდგარი!!!**

**ზურაბ ცუცქირიძე**

# დავამარცხოთ უნდობლობა, შური და მტრობა



## შამილ ჩიგოევის წერილის გამო

**ივნისის პირველი დეკადის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმი გამორჩეულად გამოიყურება. ფორუმის განსაკუთრებულობა მასში მონაწილე ქვეყნების (75) რაოდენობითაც არის განპირობებული და თვით ამ ქვეყნების წარმომადგენლობითი დელეგაციებითაც – 17000 მონაწილე, მათ შორის, სახელმწიფოთა მეთაურები, პრემიერ-მინისტრები, მინისტრები, ბიზნესის წარმომადგენლები და ა.შ.**

წლევანდელი ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე სი ძინპინი, რომელიც სახელმწიფო ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთში.

რუსეთ-ჩინეთის ეკონომიკური ურთიერთობები რომ სწრაფი ტემპით იზრდება – მტკიცება არ სჭირდება. მან წელს ას რვა მილიარდი დოლარი შეადგინა. ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოების პერსპექტივა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აშშ-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დაძაბვის ფონზე.

სავაჭრო ომი, რომელიც ორ ქვეყანას შორის არსებობს, არა მარტო მათზე აისახება (ცხადია, ნეგატიურად), არამედ დანარჩენ მსოფლიოზეც. ომი გრძელდება და არც ერთი მხარე არ აპირებს დათმობაზე წასვლას. ასეთ დროს ჩინეთ-რუსეთის ეკონომიკური კავშირების გაფართოება დადებითად მოქმედებს მათზე და არა მარტო...

ჩინურ პროექტში – „ერთი გზა, ერთი სარტყელი“ – კავკასია და საქართველოც მოიაზრება, ისე, როგორც ამ გზაზე მდებარე მთელი რიგი სახელმწიფოები და თუ ჩვენი ხელისუფლება, ეკონომიკური თვალთახედვით მოეკიდება ჩინურ იდეას, გარკვეულ სარგებელს მიიღებს.

არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ –საქართველოს სიმდიდრე გეოგრაფიულ მდებარეობაშიც არის, რაც ტრანზიტს ნიშნავს, ტრანზიტი კი შემოსავლს და ამ ფუნქციაზე, ხელოვნურად, ვიღაცის პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე უარის თქმა, უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაზე.

საქართველო თავისი მდებარეობით ის დამაკავშირებელი ხიდია სამხრეთსა და ჩრდილოეთს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რომელიც შეუფერხებლად უნდა მოქმედებდეს – ყოველგვარი ცრუ ამბიციების, წარმოდგენების, პოლიტიკური მიზნების, რევანშისტული განწყობების გარეშე.

**საქართველოს უახლეს ისტორიაში სამწუხაროდ არაერთხელ ჰქონდა ადგილი გონგამოცლილ მოქმედებას, რამაც ტერიტორიებიც დაგვაკარგვინა და ხალხიც. დამოუკიდებლობამიღებულებმა ვერ შევაფასეთ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნების მნიშვნელობა, ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული ვითარება. იმძლავრა საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესების უცოდინარობამ, ნაციონალიზმში გადასულმა ფსევდოპატრიოტიზმმა, წარსულის სისხლიანი ისტორიის რეანიმაციამ.**

სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმი შემთხვევით არ მომიყვანია, ვინაიდან საქართველოს პოლიტიკურ ელიტას, ისე, როგორც მედიასა და ექსპერტობას მცდარი წარმოდგენა აქვთ თანამედროვე რუსეთზე. დასავლური პროპაგანდის ქვეშ მყოფთ ავიწყდებათ მეზობელი ქვეყნის ზომა, წონა, საერთაშორისო ავტორიტეტი. დასავლეთის მხარდაჭერით გაგულისებულები თავს უფლებას აძლევენ აქილიკონ, ლანძღონ ბირთვული სახელმწიფო, დაადანაშაულონ ყველა ნეგატიურში, რაც მსოფლიოში ხდება!

რუსეთი აგრესორიაცაა და ოკუპანტიც, მაგრამ ამ „ტიტულების“ მატარებელთან, ნაცვლად პერმანენტული ავსიტყვაობისა, სხვა ენის გამონახვაა საჭირო, ისეთის, როგორიც იმ 75-მა ქვეყანამ გამონახა – სანკტ-პეტერბურგის ფორუმს რომ ესწრებოდა.

რუსეთთან გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობების გამო საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ფორუმს ვერ ესწრებიან, მაგრამ ლანძღვა-გინების სხვა ტონალობაში გადაყვანას რა უდგას წინ?

ოდესღაც ხელისუფლება მიხვდება, რომ ნეგატიური დამოკიდებულება, პრაგმატულით უნდა შეიცვალოს; ნაბიჯიც გადაიდგმება, რასაც დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაც მოჰყვება და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებაც. მაგრამ, ხომ შეიძლება, რომ ეს „ოდესღაც“ ახლოს გადმოვიტანოთ, რეალურად ვაქციოთ, აბსტრაქტულობა ჩამოვაშოროთ და პრაქტიკული ელფერი შევძინოთ?

უდავოდ შეიძლება. და თუ ამას გავაკეთებთ ყოფილ ჩვენს ავტონომიებთან, ამჯერად „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებთან ურთიერთობა არ გამოსწორდება?

ვეთანხმები ბატონ შამილ ჩიგოევს, რომელიც წერს – „ოსურ-ქართულ-რუსული ურთიერთობები ერთმანეთშია გადახლართული. ურუსეთოდ, როგორც ქართველი, ისე ოსი ხალხების ხვედრი ძალიან მძიმე იქნებოდა და შესაძლოა, ისინი ისტორიულ სარბიელზე არც კი დარჩენილიყვნენ“.

მე-20 საუკუნის ბოლო დეკადამ და 21-ე საუკუნის პირველმა წლებმა უმძიმესი დაღი დაასვა საქართველოს ცხოვრებას. დამოუკიდებლობის მიღებამ, ახალი ცხოვრების დაწყებამ წამოსწია ცენტრისა და ავტონომიების ვითომ მიძინებული პრობლემები, გააღვივა სეპარატიზმი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირა ავტონომიებისა და ცენტრის პოლიტიკური ელიტები, საზოგადოება. სეპარატიზმი გახდა უმთავრესი მიზანი ავტონომიებისა, რასაც საშური მხარდაჭერა ჰქონდა მეზობელი რუსეთისგან.

საქართველოს პოლიტიკამ, ხელისუფლებამ, ნაცვლად ვითარების სიღრმისეული, პრაგმატული შეფასებისა, ემოციურობა, ცრუ პატრიოტიზმი დაუპირისპირა – ერთობ შეუფერებელი დიდი ისტორიისა და კულტურის მატარებელი ქვეყნისთვის.

შედეგი?

სავალალო! – დაკარგული ტერიტორიები, იქ გახსნილი რუსული სამხედრო ბაზები, დამიზნებული თბილისზე. სინამდვილე ისეთია, თვალის დახუჭვის შესაძლებლობასაც რომ არ იძლევა და ასეთ დროს ოცნება ნატოში შესვლაზე უდავოდ აბსტრაქციაა.

რას მოუტანს ნატოს, აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთში არსებული სამხედრო ბაზების გვერდით საკუთარი ბაზების გახსნა? არის ამ რისკზე წამსვლელი ნატო? და რას მოუტანს საქართველოს ნატოს სამხედრო ბაზები რუსულის ცხვირწინ?

პასუხი მარტივია, რომლის გაცემაც ქართულ პოლიტიკას არ უნდა გაუჭირდეს, მაგრამ უჭირს. მაგალითი – ერთ-ერთი პოლიტიკოსის განცხადება ინგა გრიგოლიას თოქ-შოუში – ევროპაში დაწყებულ ანტისარაკეტო სისტემაში ჩართვა გადაარჩენს საქართველოს.

ჯერ ერთი – აღნიშნული სისტემა ახლა იქმნება და მასში საქართველოს მიზეზთა გამო არვინ ჩართავს. და მეორე – ვინც ამ სისტემას (პოლონეთი, რუმინეთი) განათავსებს თავის ტერიტორიაზე, რუსეთის დამკვრელური რაკეტების მიზანში აღმოჩნდება.

პატივცემულ შამილ ჩიგოევს უნდა შევახსენო ცოტა რამ ჩვენი საერთო ისტორიიდან, რომელიც პირადად ჩვენში სტუმრად მოსული ხალხის მხრიდან მასპინძლების მიმართ გარკვეულ შეუფასებლობას იწვევს.

**ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში არის ნორმალური და არანორმალური პერიოდები. ქართველთათვის ჩრდილოეთით მცხოვრებ ოსებთან ურთიერთობა ქვეყნისთვის უშიშროების უზრუნველყოფას ნიშნავდა. საქართველო ხშირად იყენებდა ოსთა დაქირავებულ რაზმებს სამხედრო მიზნებისთვის. I-II საუკუნეებში და შემდგომშიც, იბერია-ქართლი ჩრდილოკავკასიის ტომებს, მათ შორის ალანებს, იყენებს თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის.**

**მოგვიანებით ქართველ და ოს ხალხებს შორის ინტენსიურ ურთიერთობას ხელს უწყობს დინასტიური ქორწინებანი – განსაკუთრებით XI-XII საუკუნეებში. მაგალითად, გიორგი I-ს ცოლად ჰყავდა ოსი ალდე. ბაგრატ IV-ს ოსთა მეფის ასული შორენა. დემეტრემ თავის ვაჟს გიორგი III-ს ოსი ბურდუხანი შერთო ცოლად. თამარ მეფის მეუღლე იყო დავით სოსლანი.**

ოსებს საქართველო იზიდავდა თავისი მაღალი ეკონომიკური და კულტურული დონით, ბიზანტიიდან და საქართველოდან ვრცელდებოდა ოსეთში (VI-X საუკუნეები) ქრისტიანობა.

საქართველოსა და ოსეთს შორის ურთიერთობა მეტწილად ნორმალური, კეთილმეზობლური იყო, მაგრამ საკმარისი იყო მესამე ძალის ჩარევა, რომ მათ შორის ურთიერთობა მწვავდებოდა!

მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში ორი მონღოლური სახელმწიფოს – „ოქროს ურდოსა“ და ილხანთა შორის ბრძოლის პერიოდში შიდა ქართლში იდგნენ ილხანთა ბრძანებას დაქვემდებარებული ოსთა სამხედრო რაზმები, ქართლის შინაპოლიტიკური რღვევის ვითარებაში. ოს ფეოდალთა რაზმებს ფართო გასაქანი მიეცათ. „ქართლის ცხოვრების“ ჟამთააღმწერის სიტყვებით: **„იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად ქართლისა და ქალაქი გორი წარტყუენეს და ტყვენვად თვისად დაიჭირეს ოვსთა“**.

ოს ფეოდალთა წინააღმდეგ ბრძოლა მეფე გიორგი V-ბრწყინვალემ მე-14 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო და წარმატებით განახორციელა. **„წაართვა მათ ციხენი და დაბნები“**. მე-18 საუკუნის 70-იან წლებში ქართლში მეტი ოსი ჩანს, ვიდრე ადრე.

ამავე პერიოდის ვითარებას ასახავს გულდენშტედტის მოგზაურობის დღიურებიც. ის შიდა ქართლის პროვინციებს ახასიათებს როგორც ოსური მოსახლეობით დასახლებულ მხარეებს, რომელთა მთიან ნაწილში ოსები ქართველებთან ერთად ცხოვრობენ.

შიდა ქართლში ოსთა გადმოსახლებით გვიან შუა საუკუნეებში თვით ქართველი მეფე-ფეოდალები იყვნენ დაინტერესებულნი. უცხო ეთნიკური ელემენტის ქართულ გარემოში დასახლება იმ დროისათვის იმდენად საშიში არ იყო ქართული ეთნოსისთვის. ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ოსები ქართულ ყოფა-კულტურას ადვილად ეთვისებოდნენ. ოსთა ქართულ მიწაზე დასახლებით ორი პრობლემა წყდებოდა: ეკონომიკური და დემოგრაფიული.

არსებობს მეფე ერეკლე II-ს მიერ გაცემული წყალობის წიგნი 1794 წლისა, რომლითაც ის ვინმე ოს კუდუხაშვილს უბოძებს თარხნობას და აზნაურობას, იმის გამო, რომ მან ოსეთიდან გადმოასახლა ოსები და ქართულ მიწა-წყალზე დაამკვიდრა (**„ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“. 1991 წელი (სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისია)**.

XIX საუკუნის დასაწყისში ოსები მხოლოდ შიდა ქართლის მთებში ცხოვრობდნენ. მეორე ნახევარში – ინტენსიურად დაიწყეს ბარის სოფლებში ჩამოსახლება.

**1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ გაუქმდა მეფის ნაცვლის ინსტიტუტი. ამიერკავკასიის მართვის მიზნით შეიქმნა საგანგებო კომიტეტი, რომელიც ამიერკავკასიის სეიმმა შეცვალა. ამავე პერიოდში შეიქმნა ოსეთის სახალხო ყრილობა და ეროვნული საბჭო, რომელთა მთავარ მიზანს სამხრეთ-ოსეთის გამოყოფა და ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის, ანუ ავტონომიის შექმნა იყო.**

**1917 წლის 15-17 დეკემბერს ცხინვალში გაიმართა სამხრეთ ოსეთის დელეგატთა მეორე ყრილობა, რომელმაც აირჩია სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო, რომელმაც 1918 წლის 4 იანვარს ოფიციალურად აცნობა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ოსი ერის შესახებ წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით მისთვის მიემართა.**

**ოსთა და ქართველთა 1918 წლის მარტის სისხლიანი შეტაკების მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ოსთა 1918 წლის მარტის აჯანყება ქართულმა სახალხო გვარდიამ ჩაახშო, თუმცა დაძაბულობა კვლავ არსებობდა. „ჩვენი პოლიტიკა ოსებისადმი ისეთივე უნდა იყოს, როგორც ქართველებისადმი. ჩვენ სხვაგვარ გზას ვერ დავადგებით. სახელმწიფოში ყველა მოქალაქე უნდა იყოს კანონიერი შვილი და არა გერი.“ – წერდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1918 წლის 30 აგვისტოს.**

ქართველებსა და ოსებს შორის დაძაბული ურთიერთობა მწვავე კამათს იწვევდა მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში. აზრი ორად გაიყო. სწორედ ამის ანარეკლია ზემომოყვანილი ამონარიდი გაზეთიდან.

დაძაბულობა 1919 წელსაც გაგრძელდა. არჩეულმა სამხრეთ ოსეთის ეროვნულმა საბჭომ (უკვე ბოლშევიკურმა) არ ცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, მისი კანონები და იმოქმედა როგორც დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა ხელისუფლებამ.

ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, ოსთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოწყობილმა სამმა აჯანყებამ მოთმინებიდან გამოიყვანა საქართველოს მთავრობა, რომელმაც სასტიკი ულმობლობა გამოიჩინა მათ მიმართ. სოფელ ყორნისის, როგორც აჯანყების ერთ-ერთი კერის, გადაწვა საქართველოს მთავრობამ სპეცდადგენილებით გააფორმა.

არასრული ისტორიული წიაღსვლები, რომ აღარაფერი ვთქვათ უახლესზე, აშკარა მანიშნებელია ქართველი და ოსი ხალხის მრავალსაუკუნოვანი რთული ურთიერთობებისა, რომლის დროს უარყოფითიც იყო და დადებითიც, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველს აჭარბებდა. ქართველმა ხალხმა კეთილი მასპინძლობა გაუწია ოს ხალხს, ხელი შეუწყო სამეურნეო, საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში, ახალ სამშობლოში მყარად დამკვიდრებაში.

ის, რომ საქართველო ოსთა სამშობლოდ არის მოხსენიებული შამილ ჩიგოევის წერილში, გასაკვირი არაფერია. **„საქართველო ხომ ჩემი სამშობლოა. ჩემი უახლოესი ნათესავი ქართველებიც და ოსებიც საქართველოში ცხოვრობენ და არ მინდა, ჩემს ტურფა სამშობლოს, ნატოში შესვლით, საშინელი საფრთხე დაემუქროს“,** – წერს ის, მაგრამ იქვე იხსენებს **„ქართული ჩამოსხმის ფაშისტის“** ზვიად გამსახურდიას მიერ გაჩაღებულ ოსოფობიას, რასაც საბოლოო ჯამში 2008 წლის ომი მოჰყვა.

ამ თემაზე ბევრი დაიწერა და ითქვა, დასავლური შეფასებაც დაიდო, სადაც ომის გამჩაღებლად ქართული მხარე დასახელდა, მაგრამ საქართველოს პოლიტიკა შეუცვლელია. მას არც სპეცკომისიის სჯერა და არც გაეროს დასკვნის, თუმცა უმჯობესი იქნებოდა მიეღო ისე, როგორც დასავლეთმა შეაფასა და ნაცვლად უსაფუძვლო განცხადებებისა, გადაედგა ისეთივე ნაბიჯი, როგორც ფინეთმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე სსრკ-სთან მიმართებაში გადადგა.

ვეთანხმები პატივცემულ **შამილ ჩიგოევის ნათქვამს, რომ „კარგი ურთიერთობების აღდგენა შესაძლებელია. ყური მიუგდეთ ქართველი ერის სიბრძნეს. პირი იბრუნეთ რუსეთისა და სამხრეთ ოსეთისკენ...“**

**მე კი, ჩემი მხრივ ორივე მხარეს ვურჩევდი დიალოგით, კეთილი განწყობით, პრაქტიკული ნაბიჯებით დავამარცხოთ უნდობლობა, შური, მტრობა, რევანშისტული განწყობა. დავდგეთ მაღლა, ვითარცა ბრძენნი – საუკუნოვანი საერთო ისტორიის მატარებელნი, რაც უდავოდ მოგვიტანს მშვიდობას და წარმატებას.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# ევროკავშირი გავლენების გაძლიერებას გეგმავს

2024 წლამდე ევროკავშირი, ძირითადად, უსაფრთხოების, ეკონომიკის ზრდისა და გლობალური დათბობის საკითხებზე იქნება ორიენტირებული, – ნათქვამია სტრატეგიული გეგმის პროექტში. სტრატეგიული გეგმის პროექტში უახლოესი ხუთი წლის გეგმაა გაწერილი, რომელიც 2024 წლამდე ევროკავშირის მუშაობის მიმართულებებს განსაზღვრავს. ევროკავშირის გაფართოების შესაძლებლობა კვლავ აქტუალურია, ნათქვამია დოკუმენტში.

# ვლადიმირ ზელენსკი გუბერნატორებს ათავისუფლებს



უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ ყველა ოლქის გუბერნატორის თანამდებობის გათავისუფლების პროცედურა დაიწყო. მინისტრთა კაბინეტმა ჯერჯერობით მხოლოდ 13 გუბერნატორის გათავისუფლების საკითხი დააკამყოფილა. როგორც სააგენტო „ლიგა“ წერს, ამის შესახებ ინფორმაცია უკრაინის პრეზიდენტის პრესმდივანმა იულია მენდელმა გაავრცელა. „ჩვენ არ ვიცით მთავრობის შერჩევითობის პრინციპი. ვიმედოვნებთ, რომ ყველა გუბერნატორს დაითხოვენ“, – აღნიშნა მენდელმა. ამასთან, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალი გუბერნატორების შერჩევის პროცესი გრძელდება.

„შერჩევის კრიტერიუმები ცნობილია: მოწესრიგებულობა, პროფესიონალიზმი, კორუფციული კავშირების არქონა, სასურველია, რომ ასეთ ადამიანებს ასევე ჰქონდეთ იდეები მათი ადგილობრივი გუნდის შესახებ“, – განაცხადა მენდელმა.

# პაკისტანის ექს-პრეზიდენტი დააკავეს



პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტი უარყოფს ბრალდებებს იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ფულს ათეთრებდა საეჭვო საბანკო ანგარიშებისა და კომპანიების დახმარებით. ზარდარი იყო პაკისტანის მოკლული ექს-პრემიერ მინისტრის, ბენაზირ ბჰუტოს მეუღლე, რომელიც მართავდა ქვეყანას 2008-2013 წლებში. ორშაბათს, მას შემდეგ რაც სახლიდან აიყვანეს ესპრეზიდენტი, მის მხარდამჭერ თანაპარტიელებსა (პაკისტანის სახალხო პარტია) და პოლიციას შორის მისსავე რეზიდენციასთან ისლამაბადში დაპირისპირება მოხდა. შარშან პაკისტანის უზენაესმა სასამართლომ შექმნა კომისია,რომელსაც დაევალა, სხვადასხვა ანგარიშებიდან გამქრალი 400 მილიონი დოლარის კვალი დაედგინა.საგამოძიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ფულად მაქინაციებთან სწორედ ზარდარი იყო კავშირში.

# მსოფლიოში ყოველი მეათე ბავშვი იძულებულია, იმუშაოს



მსოფლიოში 152 მილიონი ბავშვი, ანუ ყოველი მეათე, იძულებულია, იმუშაოს, რომ ოჯახს დაეხმაროს. ამის შესახებ გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ კვლევაშია ნათქვამი. კვლევის თანახმად, ამ ბავშვების თითქმის ნახევარი – 73 მილიონი სიცოცხლისთვის საშიშ პირობებში მუშაობს და უკიდურესად მცირე ანაზღაურებას იღებს.

შესაბამისი კვლევა „იუნისეფმა“ ბავშვთა შრომის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოაქვეყნა. ანგარიშის თანახმად, ყველაზე მეტი ბავშვი – 72 მილიონი აფრიკაში შრომობს, მეორე ადგილზე ამ მხრივ აზიის ქვეყნებია, სადაც 62 მილიონი ბავშვი იძულებულია, იმუშაოს. ბავშვთა შრომას იყენებენ ეკონომიკის თითქმის ველა სექტორში, თუმცა 10 ბავშვიდან შვიდი სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობს. „იუნისეფი“ მოუწოდებს მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კომპანიებს, უფრო აქტიურად ებრძოლონ სიღარიბეს და გოგონათა დისკრიმინაციას, ასევე გახადონ განათლება უფრო ხელმისაწვდომი.




# ზიანის გარკვეულ შემცირებაზე ფიქრით...

**შიდა ქართლში, სეტყვისგან მძიმედ დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად აშშ-ის მთავრობა ერთ მილიონ დოლარს გამოყოფს. ეს თანხა ნამდვილი შვებაა ადგილობრივებისთვის.**

მაისში, შიდა ქართლი, განსაკუთრებით ეგრეთ წოდებული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლები იმდენად მძიმედ დაისეტყვა, რომ მოსავლის მიღების იმედი აქ ყველას გადაეწურა. არადა რეგიონი, პრაქტიკულად, სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს. 2008 წლის ომმა, ტერიტორიების დაკარგვის, მატერიალური და არამატერიალური ზიანის გარდა, აქ მცხოვრებლები იმითაც დააზარალა, რომ ხანგრძლივადიან პერსპექტივაში შემოსავლის წყარო, პირდაპირმნიშვნელოვნად წაართვა.

**სოფლის მეურნეობის წარმოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტი სარწყავი სისტემა და სათავე ნაგებობები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა. ომიდან ათი წლის შემდგომ ჯერ კიდევ გრძელდება ალტერნატიული სარწყავი ნაგებობებისა თუ ცალკეული ჭაბურღილების მონტაჟი.** წლების განმავლობაში უწყლოდ დარჩეილი და გადამხმარი ხეხილის ბაღები არაერთმა ფერმერმა საკუთარი ხელით გაჩეხა. სეტყვა მაშინ, როდესაც ომის შემდგომ, წლების განმავლობაში, პრობლემური გასარწყავების პირობებში სოფლის მეურნეობას ეწევი, აღმართში დაწეულ ქვას ჰგავს. სტიქიის შემდგომ ადგილობრივები ჯერ მერთან შეხვედრას ცდილობდნენ, უშედეგო კომუნიკაციის შემდგომ კი თბილისი-გორის ცენტრალური ავტომაგისტრალი გადაკეტეს და შეხვედრა უკვე სოფლის მეურნეობის მინისტრთან მოითხოვეს. მინისტრი ლევან დავითაშვილი, მართლაც, ჩავიდა გორში და დაზარალებულ ფერმერებს კულტურის სახლის დარბაზში შეხვდა, თუმცა არც ეს ურთიერთობა გამოდგა წარმატებული. მინისტრის შეთავაზებებით უკაყოფილო ადგილობრივებმა შეხვედრა პროტესტის ნიშნად დატოვეს.

ლევან დავითაშვილის უწყებამ მოსავალ-განადგურებულ ადამიანებს განუცხადა, რომ ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე ისინი 200-ლარიან ვაუჩერს მიიღებენ.

**„ამერიკის ხმასთან“ საუბრისას ახალგაზრდა ფერმერი ტირძნისიდან ჯიკო ხმიადაშვილი აცხადებს, რომ 1,8 ჰექტარ ფართობზე, სადაც მოსავალი მთლიანად გაუნადგურდა, 50-დან 80 ათას ლარამდე შემოსავლის მიღებას გეგმავდა. „ატმისა და ვაშლის ბაღები მაქვს და მარწყვი 20 მეასედზე. სულ განადგურდა. ჰექტარზე 200 ლარი, რასაც ხელისუფლება გვეუბნება, არაფერია. მე საპროტესტო გამოსვლაშიც ვიღებდი მონაწილეობას და შემდეგ მინისტრსაც შევხვდით. ჩვენ რასაც ვთავაზობდით, უარი გვითხრეს. ამიტომ დავტოვეთ დარბაზი და წამოვედით. შემდეგ, მინისტრი სოფელშიც მოვიდა, ჩვენთან, მაგრამ არც სოფელში არ შევხვდით, რადგან იგივეს იტყოდა, 200 ლარს შემოგვთავაზებდა“. ჯიკო ხმიადაშვილმა USAID-ის მიერ გამოყოფილი თანხის შესახებ „ამერიკის ხმისგან“ შეიტყო.**

## დახმარება ამერიკელი ხალხისგან კონფლიქტის ზონის მცხოვრებლებისთვის

ზარალის სტატისტიკა, რომლის თაობაზეც „ამერიკის ხმასთან“ შიდა ქართლის გუბერნატორმა **გიორგი ხოჯევანიშვილმა** ისაუბრა, ასეთია: **სტიქიამ დააზარალა 35 სოფელი, მათგან უმეტესობა გორის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, რამდენიმე კი ქარელის მუნიციპალიტეტში შედის. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღწერის შედეგად, მთლიანად, მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურები განადგურდა 10 000 ჰექტარზე. ზიანი განიცადა, დაახლოებით, 8 ათასმა ოჯახმა.**

**„პირველ ეტაპზე, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და ერთ ჰექტარზე 200 ლარის ვაუჩერული ტიპის დახმარება გაიცემა მოსახლეზე. ამის შემდგომ, სამინისტროს ინიციატივით, ერთობლივი ძალებით გვქონდა კომუნიკაცია ამერიკის საელჩოსთან, USAID-სთან და დაჩქარებული რეჟიმში მივიღეთ გადაწყვეტილება, ზუსტად ამ რეგიონისთვის, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის. ერთი მილიონი დოლარი მოხმარდება ხალხს. რა პრინციპით გადანაწილდება თანხები, ჯერ არ ვიცით, დეტალები შეჯერების ეტაპზეა. ვფიქრობთ, რომ მოსახლეობა მიიღებს არა მოჭრილ თანხას, არამედ კომპენსაციას ზარალის პროპორციულად“,** – გვეუბნება გიორგი ხოჯევანიშვილი.

**თამაზ დალაქიშვილი** გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის ყოფილი გამგებელია და აქვე ცხოვრობს. ის 10-დან 12 ტონამდე ვაშლის მიღებას ფიქრობდა, თუმცა ნარგავები იმდენად დაზიანდა, წლევანდელი მოსავლის მიღების შანსები აღარაა. **„მე რამდენადაც ვიცი, დახმარება ფულადი სახით არ იქნება, ვაუჩერს მოგვცემენ ბიუჯეტიდან 200 ლარის ოდენობით, რომლის გამოყენება პესტიციდების შესაძენად იქნება შესაძლებელი, ალბათ. ტყვიავში მოსავალი 100 პროცენტითაა განადგურებული. ამერიკის მთავრობა თუ გვეხმარებოდა დამატებით, არ ვიცოდი, მხოლოდ ბიუჯეტის 200 ლარის თაობაზე მქონდა ინფორმაცია,“** – გვეუბნება თამაზ დალაქიშვილი.

„ამერიკის ხმა“ USAID-ს პროექტ „ზრდა“-ს ხელმძღვანელს **ქეთი ჟუმბურიძეს** ესაუბრა და არა მხოლოდ იმის შესახებ შეიტყო, რომ **ამერიკელი ხალხი საქართველოს მოსახლეობას სტიქიის გამო ერთი მილიონი დოლარით ეხმარება, არამედ იმის თაობაზეც მოისმინა, რომ დახმარების სხვა პაკეტში თანხა 20 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს და ის ხუთი წლის განმავლობაში უნდა გაიხარჯოს. „ჩვენ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შიდა ქართლის გუბერნატორი შევთანხმდით, დახმარების თაობაზე. მომავალი კვირიდან შევჯერდებით, რა სახით გადაეცემა ეს დახმარება თითოეულ ფერმერს. დაახლოებით, 29 სოფელია, რომელსაც სრულად დავეხმარებით შიდა ქართლში. სეტყვისგან ყველაზე მეტი ზიანი ეგრეთ წოდებულ ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე სოფლის მოსახლეობამ მიიღო. ეს ისედაც გახლავთ ჩვენი სამიზნე რეგიონი. შიდა ქართლში მუშაობა ჩვენ სამი წლის წინ დავიწყეთ. ეს გახლავთ USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „ზრდა“** – გვეუბნება **ქეთი ჟუმბურიძე**.

დონორებმა სპეციალურად შეარჩიეს სამიზნე ჯგუფებად ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან მცხოვრები ადამიანები და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონები, როგორიცაა პანკისის ხეობა, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი. **„აქ კიდევ ორი წელი გავაგრძელებთ მუშაობას და ჯამში 20 მილიონი დოლარი დაიხარჯება. რაკი ისედაც გვქონდა შეხება შიდა ქართლთან და ვიცოდით ვითარება, ამიტომ მოვიძიეთ პლუს დამატებითი ერთი მილიონი სტიქიის შედეგად დაზარალებულებისთვის,“** – ამბობს პროექტის ხელმძღვანელი.

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოში ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანია პროექტის დროული დაწყება, რადგან ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ზიანის, გარკვეულ შემცირებაზე ფიქრი.

◉ ფეხბურთი

# ვიკინგებმა საშემოდგომო გამოგვაყოლეს

**ორშაბათიც შაბათიაო — ხშირად ატრიალებენ გულარხეინი ქართველები პოპულარულად ქცეულ სალაღობო ფირფიტას, მაგრამ ჩვენვე გვეკუთვნის არანაკლებ გაცვეთილი სტრიქონები — ორშაბათი მძიმე დღეაო, რითაც ხან სიდუხჭირის გამართლებას ვცდილობთ, ხანაც — ახალი სამუშაო კვირის (ვისაც სამსახური გაგვაჩნია) „პახმელიაზე“ დაწყება გვაწუწუნებს.**

სამწუხაროდ, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს, რომელსაც უკვე მეთაკილება ეროვნული ვუწოდო, თითქმის ყოველი ორშაბათი (ისევე, როგორც დანარჩენი დღეები), გულშემატკივართათვის შემლახველად უთენდება. თითქოს ამასწინანდელი ჩაწყობილი თამაშების სკანდალი არ გვყოფნიდეს, სამარცხვინო ტრადიცია გუშინწინ კოპენჰაგენშიც გაგრძელდა, სადაც ევრო — 2020-ის შესარჩევი რაუნდის მეოთხე ტურში ვლადიმირ ვაისის გუნდს მესამე ფიასკო ელოდა.

**დანია — საქართველო 5:1**

პირველი ტაიმი 2:1

**გოლები:** დოლბერგი (2), ერიქსენი (პენალტით), პოულსენი, ბრეიტვეიტი; ლობჟანიძე.

**მსაჯი:** შიორგენჰოფერი (ავსტრია).

საგანგაშო სიგნალის საფუძველს გიბრალტართან მოგებული შეხვედრის პირველივე ტაიმი გვაძლევდა, როცა ჯგუფის გამოკვეთილ აუტსაიდერთან საწყის ნახევარ საათში ერთი სახიფათო მომენტიც კი ვერ შევქმენით. თურმე, ეს ჟურნალი ყოფილა — ტრაგიკული პრემიერა ვიკინგების სამკვიდროში უნდა დადგმულიყო.

თქვენი არ იყოს, მეც მომბეზრდა მარადმწვანე „საბუთები“ — ოპტიმალური შემადგენლობით თამაშს ვერ ვეღირსეთო — თითქოს როცა „ჯვაროსანთა“ ლიდერებს ტრავმები არ აწუხებთ, მეტოქეებს ჭირის ოფლში ვწურავდეთ; ანდა ხელის მსაჯებზე შეწმენდა. დიახ, მართალია ამჯერად რამდენიმე გადაწყვეტილება სადავოდ გამოიყურებოდა, მაგრამ ტაბლოს რა მოვუხერხოთ, სადაც 5:1 აციმციმდა?




რამდენიმე დღის წინათ სლოვაკ მწვრთნელს სარეკორდო მე-14 გამარჯვებას ულოცავდნენ, აქაოდა, ასეთი მონაგარი არცერთ მის წინამორბედ კოლეგას არ ჰქონიაო.

ეტყობა, ჭეშმარიტება ყოფილა ფრთოსანი გამოთქმა — ბულალტერია სპორტის მტერიაო. სხვაგვარად როგორ უნდა შეაფასო კაცმა ისეთ „მჭლე“ მეტოქეებთან მიღწეული წარმატებებით ტკბობა, როგორიცაა ანდორა, ყაზახეთი თუ გიბრალტარი, რომელთაც, დიდი ალბათობით, ჩვენი თანამემამულე სპეციალისტების მომზადებული ბიჭებიც აართმევდნენ ჩასათვლელ ქულებს.

ჰოდა, გეკითხებით: რატომ უნდა ვუხადოთ კონტრაქტით გათვალისწინებული სოლიდური თანხები იმ თავკაცს, ვისაც ოთხი საყრდენის დაყენების შემთხვევაშიც კი არ შეუძლია მინდვრის ცენტრზე ელემენტარული კონტროლის დამყარება და მეტოქისათვის სივრცეების შეზღუდვა, რომ აღარაფერი ვთქვათ ბურთზე კონტროლის დაწესებაზე, რაც, თუ ობიექტურნი ვიქნებით, ჩამშლელთათვის ძნელი მოსათხოვია, მაგრამ აქ ბუნებრივად იბადება კითხვა: კი მაგრამ, კვალიფიციურ შემსრულებელთა დეფიციტის პირობებში, ვუცხადებთ კი ნდობას მათ, ვინც ჯერ კიდევ შემოგვრჩა?

თუმცა, ღმერთმა ნუ ქნას, მთლად უიმედოდ გვქონდეს საქმე. არამცდაარამც — გვირაბის ბოლოში სინათლის გამოჩენის ტოლფასად გვესახება გუნდის ლიდერად ვაკო გვილიას თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესი.

ასე რომ, მართალია, საზაფხულო არდადეგებზე თავჩაქინდრულნი გავედით, მაგრამ მაინც ვიმედოვნებთ, რომ 8 სექტემბერს იმავე დანიასთან თბილისში საშემოდგომო გამოცდას ღირსეულად ჩავაბარებთ:

**ირლანდია — გიბრალტარი 2:0.**

**სატურნირო მდგომარეობა:** ირლანდია — 10, დანია — 5, შვეიცარია — 4, საქართველო — 3, გიბრალტარი — 0 ქულა.

**5 სექტემბერს ითამაშებენ:** ირლანდია — შვეიცარია, გიბრალტარი — დანია.

**გიორგი შოთაძე**

◉ კარატე

# ტოკიოსკენ – მინსკის გავლით

**მორიგი წარმატებით გაგვახარა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გოგიტა არქანიამ, რომელმაც ჩინურ შანხაიში გამართული კარატისტთა პრემიერლიგა +84 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოპოვებული ბრინჯაოს მედლით დაასრულა.**

შეგახსენებთ, რომ წლეულსვე ჩვენმა თანამემამულემ ასევე მესამე ადგილი დაიკავა ანალოგიურ ტურნირზე სტამბოლში, პარიზში კი ყველას აჯობა, რამაც საშუალება მისცა 3285 სარეიტინგო ქულითა და ჯამური მეორე შედეგით მინსკის მეორე ევროპული თამაშების (29-30 ივნისი) საგზური ვადამდე მოეპოვებინა.



მეტიც — „ჯვაროსანთა“ ლიდერი რეალურ შანსს ინარჩუნებს, გაისად ტოკიოს ოლიმპიადაზე დაიცვას სამშობლოს სპორტული ღირსება, რადგან, მართალია, ამ ეტაპზე მხოლოდ მე-11 პოზიციაზეა შესაბამის ჩათვლაში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეულ ქვეყანას ერთადერთი ლიცენზია ეკუთვნის, რეალურად მერვეა, ვინაიდან საწუკვარ ათეულში ორ თურქსა და სამ ირანელს ვხვდებით.

სეზონის ფინიშამდე გოგიტა არქანია ძალებს იაპონიის, რუსეთისა და ესპანეთის დედაქალაქებშიც მოსინჯავს, ცისქვეშეთში კი ხუთი ორთაბრძოლიდან ოთხი მოიგო ალჟირელ, ესპანელ, უკრაინელ, ჰოლანდიელ მეტოქეებთან და ერთადერთი წააგო მინიმალური სხვაობით ნახევარფინალში ირანელ საჯად განზადენთან — 1:2.

**ბეჟან დოლიძე**

◉ ხელბურთი




**როგორც მოგეხსენებათ, ამ დღეებში თბილისის სპორტის სასახლე ხელბურთელ ვაჟთა IHF-ის ერთა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს 12 გუნდის მონაწილეობით, რომელთაგანაც ზუსტად ნახევარს — 6 ნაკრებს დამატებითი მოტივაცია გააჩნია — მათგან საუკეთესო შედეგის მქონე ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდში იასპარეზებს.**

# ჯერჯერობით - ცალ კარში

ჯერჯერობით შესანიშნავად თამაშობენ ნიკოლა მაქსიმოვიჩის გაწვრთნილი „ჯვაროსნები“, რომლებმაც დამაჯერებლად სძლიეს ნიგერიას — 27:14, მალტას — 39:13, ირლანდიას — 37:17 და 6 ქულით ბულგარელებთან ერთად სათავეში ჩაუდგნენ **„ბ“ ჯგუფის** სატურნირო ცხრილს.

გუშინ ტურნირზე დასვენების დღე იყო, დღეს კი ჩვენებურთა მეტოქენი ამერიკელები იქნებიან.

აღსანიშნავია, რომ 4-ქულიან ოკეანისგაღმელებს სოლიდური შევსება ჩამოუვიდათ გერმანიის მეორე ბუნდესლიგიდან — ძმები უეტერები და პოლ სკუპურა.

ხვალ პირველი ეტაპის ფინიშზე დიდ ინტერესს იწვევს საქართველოსა და ბულგარეთის მატჩი, რომელიც, სავარაუდოდ, გამოავლენს კიდეც „ბ“ ჯგუფის გამარჯვებულსა და პლეი-ოფის მონაწილეთა დუეტს.

დავძენთ, რომ **„ა“ ჯგუფს** ქულათა მაქსიმუმით კუბელები ლიდერობენ, გადამწყვეტი შეხვედრები კი 15-16 ივნისს გაიმართება.

**კობა კობახიძე**

◉ ჭადრაკი

# ოცნებათა სასაფლაო

**რაც დრო გადის, სულ უფრო საგანგაშო ინფორმაციები მოდის თათრეთის დედაქალაქ ყაზანიდან, სადაც უკვე პრეტენდენტ ქალთა ტურნირის მეორე წრე მიმდინარეობს.**

როგორც იცით, შესანიშნავი სტარტის შემდეგ — 3,5 ქულა 4 პარტიიდან — ღრმა კრიზისი დაეწყო ნანა ძაგნიძეს, რომელმაც შემდეგ 5 ტურში საკუთარ მონაგარს მხოლოდ ნახევარი ქულა შემატა და მსოფლიოს ჩინელ ჩემპიონ ცზიუ ვენძიუნთან შეხვედრის შანსი, პრაქტიკულად, დაკარგა.

ამჯერად ჩვენმა თანამემამულემ უკრაინელ ანა მუზიჩუკთან წააგო, რომელმაც რევანში აიღო პირველ წრეში დამარცხებისთვის.

**სატურნირო მდგომარეობა 9 ტურის შემდეგ:** ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი) —7,5, კატერინა ლაგნო (რუსეთი) — 5, ანა და მარია მუზიჩუკები (ორივე — უკრაინა) — 4,5-4,5, ნანა ძაგნიძე — 4, ვალენტინა გუნინა, ალექსანდრა კოსტენიუკი (ორივე — რუსეთი), თან ჩჟუნი (ჩინეთი) — 3,5-3,5 ქულა.

**გუშინ მონაწილენი ისვენებდნენ, ხოლო დღეს მეათე ტურში ერთმანეთს შეხვდებიან:** კოსტენიუკი — გუნინა, ლაგნო — გორიაჩკინა, ა. მუზიჩუკი — თან ჩჟუნი და მ. მუზიჩუკი — ძაგნიძე.

**მანუჩარ გიორგაძე**



◉ ოკეანის გაღმა

# სიზმარი გრძელდება

**ეშმაკს არ სძინავსო, ისეა „გოლდენ სტეიტის“ საქმე, რომელიც, რომ იტყვიან, საკონტროლო გასროლის მოლოდინში კედელთანაა მიყენებული და ისე ეწვია კანადას, სადაც ნბა-ს ფინალური სერიის მეხუთე შეხვედრის ჩასატარებლად „ტორონტოს“ 1:3-ზე შეება.**

თითქოს, ოკლენდელებს უფალმა გადმოხედა, რადგან ახალგამოჯანმრთელებული კევინ დურანტი დაუბრუნდათ.

თამაშს მონატრებული სნაიპერი ჩვეულად შეუდგა მოვალეობის შესრულებას — სამი სამქულიანი ჩააგდო, უკვე 11 ქულა ჰქონდა აქტივში, მაგრამ უწყინარ სიტუაციაში ახალი ტრავმა მიიღო და დარბაზი ყავარჯნებით დატოვა.

ბედად, კრიტიკულ ვითარებაში, როცა კავაი ლეონარდის ძალისხმევით (24 ქულა) მასპინძლები საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე 7 ქულით დაწინაურდნენ — 103:96, ჰაერში „ოქროს“ სუნი დატრიალდა და მათი ქომაგები აქამდე არნახული ტრიუმფის აღსანიშნავად ემზადებოდნენ, თითქმის განწირული ფავორიტები სტეფ კარიმ და ლაზარეთიდან ასევე ახლახან გამოწერილმა კლეი ტომპსონმა იხსნეს, რომლებმაც ზღაპრული სამქულიანებით ტრიბუნებიც დაადუმეს და სატიტულო ბრძოლას ინტრიგაც შეუნარჩუნეს — 106:105 (3:2).




მეექვსე მატჩი ხვალ გამთენიისას კალიფორნიაში გაიმართება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

# ხარაგაულში 60 ათასი წლის ძეგლი აღმოაჩინეს

**ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევებით, ხარაგაულში შუა პალეოლითის ხანის ე. წ. მუსტერული ძეგლის (ქვედა პალეოლითის ხანის ყველაზე გვიანდელი ხანის ძეგლი) არსებობა დასტურდება. იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტში ახალი სარკინიგზო გვირაბის მიმდებარედ, მდინარე ჩხერიმელას ხეობაში, ხანდების კლდეში, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ორი კულტურული ფენა და მრავალი სახეობის ფაუნის ნაშთი აღმოაჩინა.**

ექსპედიციის ხელმძღვანელის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეოანთროპოლოგიისა და პალეობიოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის **თენგიზ მეშველიანის** განცხადებით, აღმოჩენილი კარსტული მღვიმე სავარაუდოდ 50-60 ათასი წლის წინანდელია და „დევისხვრელზე" ბევრად, დაახლოებით 10-11 ათასი წლით ძველია. „ეს აღმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია არა მარტო ხარაგაულისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, რადგან ასეთი არქაული ხანის ნაშთები ქვეყნის ტერიტორიაზე არც ისე ბევრია.

ექსპედიციის ხელმძღვანელის ინფორმაციით, აღმოჩენილ მასალებს დამუშავების შემდეგ ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს გადასცემენ. მანამდე კი, ივნისის ბოლოს ხარაგაულში ჩავლენ იერუსალიმის უნივერსიტეტის სპეციალისტები, რომლებიც წყალტუბოსა და ჭიათურაში აფინანსებენ არქეოლოგიურ გათხრებს. თენგიზ მეშველიანი იმედოვნებს, რომ უცხოელი კოლეგების ფინანსური დახმარებით, ხარაგაულში სამუშაოების გაგრძელებას შეძლებენ.

ხარაგაულში ექსპედიციის მოწყობით ეროვნული მუზეუმის თანამშრომლები შარშან, ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის მღვიმე-ნამოსახლარში „დევისხვრელში" დამატებითი გათხრების ჩატარების შემდეგ დაინტერესდნენ, „დევისხვრელი" მე-20 საუკუნის 30-იან წლებში პროფესორმა გიორგი ნიორაძემ აღმოაჩინა.

შარშან აპრილში, როდესაც მუნიციპალიტეტში ქვის ხანის ნამოსახლარების გამოსაკვლევად და ახალი ძეგლების აღმოსაჩენად იმყოფებოდნენ, ექსპედიციამ „დევისხვრელი" და ნუნისი განმეორებით გამოიკვლია. „დევისხვრელი" ზედა პალეოლითის პერიოდის ადამიანის სადგომია. ამ ძეგლის მიმართ ინტერესი ყოველთვის იყო. არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ მღვიმე მეცნიერულად შესწავლილია.

**თათა კაჭკაჭიშვილი**





# ზაფხულის საშიში დაავადება, რომელიც ტკიპებისგან გვემუქრება



ზაფხულის სეზონზე, ტკიპა, რომელიც უმძიმესი დაავადების — „ყირიმ-კონგოს ცხელების" გადამტანია, განსაკუთრებით აქტიურია. ტკიპა გვხვდება ყველგან — მცენარეებზე, ბალახებში, ცხოველებთან, შესაბამისად, რისკი, რომ დაავადება ადამიანზე გადავიდეს, საკმაოდ დიდია. როგორ მოვიშოროთ ტკიპა და რამდენად საშიშია ის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ „მედიაცენტრ მთავარში" ისაუბრა.

**„ყველა ტკიპა არ არის დაავადების გადამტანი. ეს არის გარკვეული სახეობის ტკიპა, რომელიც ინფიცირებულია. პანიკური შიშია ამ ტკიპების მიმართ, რა თქმა უნდა, ყურადღებით უნდა ვიყოთ. თუ ბავშვი იქნება თუ დიდი, გარედან დაბრუნდება, ბალახებში იარა, უნდა დავათვალიეროთ რომ ტანზე, სადმე ტკიპა არ ჰქონდეს მიკრული. თუ სადმე ვნახავთ ტკიპას, ის საკმაოდ დიდი სიფრთხილით უნდა მოშორდეს, რომ საცეცები ადამიანის სხეულში არ ჩატოვოს. მისი მოშორება ხელით არ შეიძლება. არც ცხოველებიდან შეიძლება ტკიპას ხელით მოშორება"** — აღნიშნა პაატა იმნაძემ „მედიაცენტრ მთავარში".

მისივე ინფორმაციით, ტკიპას სხეულიდან მოსაცილებლად საჭიროა პინცეტი და ხელთათმანი.

**„აუცილებლად ხელთათმანი უნდა გქონდეს და პინცეტით უნდა მოვაშოროთ. კარგად უნდა მოედოს პინცეტის პირი ტკიპას და ფრთხილი მოძრაობით, მოტრიალებით უნდა ამოვიღოთ, რომ მისი სხეულის ნაწილები არ ჩარჩეს კანში. ტკიპას რაც უფრო ჩქარა მოვიშორებთ, მით უკეთესია. რადგან ის რაც უფრო დიდი ხანი რჩება კანზე, მით მეტი შანსია, დაავადება ადამიანზე გადავიდეს. უამრავი სახეობის ტკიპა არსებობს. აქედან, ზოგი შეიძლება იყოს რაიმე დაავადების გადამტანი. ყველაზე მძიმე, რაც შეიძლება იყოს ტკიპასთან დაკავშირებული დაავადება, ეს არის „ყირიმ-კონგოს ცხელება", რომელიც ხაშურიდან მოყოლებული სამცხე-ჯავახეთისკენაა გავრცელებული"** — განაცხადა პაატა იმნაძემ „მედიაცენტრ მთავარში" გამართულ პრესკონფერენციაზე.



# დედაქალაქში შხამიანი ქვეწარმავლების საფრთხე არ არსებობს

**ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ჰერპეტოლოგის შოთა ზანდუკელის განცხადებით, დედაქალაქში შხამიანი ქვეწარმავლების საფრთხე არ არსებობს.**

როგორც შოთა ზანდუკელმა განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ ქსელებში მოქალაქეები სხვადასხვა ფოტოსა და ინფორმაციებს ავრცელებენ თბილისში შხამიანი ქვეწარმავლების არსებობის შესახებ, ეს ინფორმაციები სიმართლეს არ შეესაბამება, რასაც მათი სამსახურის მიერ აღრიცხული გამოძახებებიც ადასტურებს.

როგორც ჰერპეტოლოგი აცხადებს, შხამიანი გველების პოპულაცია თბილისიდან საკმაოდ მოშორებით, მათთვის ბუნებრივ არეალში ხდება, ხოლო რაც შეეხება დედაქალაქსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს, მათ შორის კუს ტბასა და ლისის ტბას, ასევე გარეუბნებს, იქ მხოლოდ უწყინარი გველხოკერები და ქვეწარმავლები არსებობენ, რომელთაც შხამი არ გააჩნიათ და ადამიანების სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ.

ჰერპეტოლოგი მოსახლეობას მოუწოდებს, იმ შემთხვევაში, თუ ქვეწარმავალს დააფიქსირებენ, დარეკონ სამსახურის ცხელ ხაზზე — 424-424, მათი სპეციალისტები ადგილზე მივლენ და დროულ რეაგირებას მოახდენენ.

# აქტიური პროცესები ივნისში



**გეოფიზიკური აქტივობების მოსალოდნელი დღეებია 12, 16-21, 26, 24-28. შესაძლოა ციკლონებისა და ქარიშხლების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის ალბათობის მომატება, სოციუმში დაძაბულობის წარმოშობა და სეისმოაქტივობის გაძლიერება.**

**12 — მთვარის პირველი მეოთხედი ქალწულის თანავარსკვლავედში.** სავარაუდოა საჭმლის მონელების სისტემის მოშლა, კუჭის დაავადებების გამძაფრება, უმიზეზო შიშებისა და განგაშის გრძნობის წარმოშობა. არ არის გამორიცხული პრობლემების წარმოშობა ღვიძლთან დაკავშირებით. სასურველია სპირტიანი სასმელების მიღებისგან თავის შეკავება, უმჯობესია, უარი თქვათ ცხარე და ცხიმიან საკვებზე, ანდა, სულაც, დიეტა დაიცვათ. ეცადეთ, თავი აარიდოთ უარყოფით ემოციებს, კონფლიქტურ ვითარებებს, ურთიერთობათა დალაგება კი სულაც სამომავლოდ გადადოთ.

16 — მთვარის იუპიტერთან შეერთება მშვილდოსნის თანავარსკვლავედში. **შესაძლოა ღვიძლის დაავადებათა, სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემების გამძაფრება, კუდუსუნის არეში ტკივილების წარმოშობა. უმჯობესია, უარი თქვათ მძიმე, ცხიმიანი საკვების მიღებაზე, ნუ გადაიტვირთავთ ღვიძლსა და ფეხებს. სასარგებლო იქნება სუნთქვითი ვარჯიშები, მასაჟი და ფეხით სიარული. კარგი დროა ურთიერთობათა დასალაგებლად, ახალ საქმეთა წამოსაწყებად და გასამგზავრებლად. ამ დღეს კარგია დასასვენებლად წასასვლელად გეგმების დალაგება — უმეტესობა ჩანაფიქრს შესრულება უწერია.**

**17 — ახალმთვარეობა მშვილდოსნის თანავარსკვლავედში.** მოსაფრთხილებელია არტერიული წნევის ნახტომისებრი ცვლა, ტკივილები გულის არეში, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, ასევე თეძოებისა და სახსრების ტკივილები. მოუფრთხილდით ღვიძლს, ფილტვებსა და ნერვულ სისტემას, მოერიდეთ სტრესებს, რომლებსაც უძილობისა და თავის ტკივილების, ასევე ჰიპერტონიის გამოწვევა შეუძლიათ. კარგი დროა სწავლისთვის, ეკლესიაში მისასვლელად, აგრეთვე სპორტული ვარჯიშისთვის და სეირნობისთვის.

**19 — მთვარის შეერთება სატურნთან და პლუტონთან თხის რქის თანავარსკვლავედში.** შესაძლოა საერთო სისუსტის, დეპრესიის, აგრეთვე ძვლებისა და სახსრების დაავადებათა გამძაფრება, ხერხემლის ოსთეოქონდროზი. არ არის გამორიცხული კანისა და კბილების დაავადებათა წარმოშობა. მოერიდეთ ტრავმებს, გაციებას, სიმძიმეების გადატანასა და საერთოდ, ჭარბ ფიზიკურ დატვირთვებს, მოუფრთხილდით სახსრებსა და ხერხემალს. ამ დღეს არ არის სასურველი სამომავლო გეგმების დასახვა და ფინანსური ოპერაციების წარმოება. უმჯობესია ეს დღე რუტინულ საქმეებს დაუთმოთ, რათა შეცდომების დაშვების რისკი მინიმუმამდე დაიყვანოთ.

**24 — მთვარის შეერთება ნეპტუნთან თევზების თანავარსკვლავედში.** ამ დღეს მომატებულია საავარიო და ტრავმასაშიშ ვითარებათა საფრთხე, შესაძლოა ფსიქიკურ სნეულებათა გამძაფრება. მოერიდეთ ინფექციებსა და გაციებას, თავი შეიკავეთ ალკოჰოლიანი სასმელებისა და ყავის მიღებისგან. ეცადეთ, არ გადატვირთოთ ღვიძლი, ფეხები და სმენის ორგანოები. არ არის რეკომენდებული საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება, მნიშვნელოვან საბუთებზე ხელის მოწერა. სარგებლის მომტანი იქნება წყლის პროცედურები და ტერფების მასაჟი.

**25 — მთვარის ბოლო მეოთხედი ვერძის თანავარსკვლავედში.** შესაძლოა კრუნჩხვების, სპაზმების, თავის ტკივილების წარმოშობა, უძილობა. გარდა ამისა, საფრთხილოა თვალებისა და ყურების დაავადებების გამძაფრება. არ არის სასურველი ამ ორგანოებზე ოპერაციები, აგრეთვე თმის შეჭრა და ზედა კბილების მკურნალობა და ამოღება. ნუ მიირთმევთ ყავას, შოკოლადს, ალკოჰოლსა და უარი თქვით თამბაქოს მოწევაზე. სარგებლის მომტანი იქნება გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, ტანვარჯიში, სეირნობა.

**28 — მთვარის შეერთება ურანთან ვერძის თანავარსკვლავედში.** მოსაფრთხილებელია ხორხი, ხმის იოგები და ფარისებრი ჯირკვალი. არ არის გამორიცხული კისრის ტრავმა. არ არის სასურველი ქვედა ყბის კბილების მკურნალობა და ამოღება. ამ დღეს სასარგებლოა წყლის პროცედურები და მცირედი შეზღუდვები საკვების მიღებისას. კარგია ორგანიზმის გამწმენდი პროცედურები, სუნთქვითი ვარჯიშების ჩატარება, იოგა. ეცადეთ, დასაძინებლად ჩვეულებრივზე ადრე დაწვეთ, რადგან თქვენ ორგანიზმს მეტი დასვენება სჭირდება.



# ფრანკფურტის უნივერსიტეტში რუსთაველის კაბინეტი გაიხსნა

**გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტში შოთა რუსთაველის კაბინეტი გაიხსნა. აღნიშნულ ინსტიტუტში 2002 წლიდან ფუნქციონირებს კავკასიოლოგიის კათედრა, რომელსაც მდიდარი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა გააჩნია.**

ფრანკფურტის უნივერსიტეტში რუსთაველის კაბინეტი გახსნეს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა, პროფესორმა როლფ ფან დიკმა, საქართველოს გენერალურიმა კონსულმა ფრანკფურტში ლევან დიასამიძემ, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა, პროფ. ზვიად გაბისონიამ, პროფ. იოსტ გიპერტმა და პროფ. მანანა თანდაშვილმა

აღსანიშნავია, რომ კავკასიოლოგიის კათედრის ხელმძღვანელის, პროფესორ მანანა თანდაშვილის ინიციატივით ორი წლის წინათ დაიწყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უცხოენოვანი თარგმანების შეგროვება. დღეისთვის ბიბლიოთეკაში პოემის 50-მდე თარგმანია რეგისტრირებული. ამჟამად კათედრაზე მიმდინარეობს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების პარალელური კორპუსის შექმნა, რომელშიც ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის სტუდენტები არიან ჩართული.

რუსთაველის კაბინეტის გახსნა გააძლიერებს ფრანკფურტის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის მიმართულებას.

# ახალი დაცული ტერიტორია პონტოს მუხის აღკვეთილი შეიქმნა

**საქართველოში კიდევ ერთი დაცული ტერიტორია – პონტოს მუხის აღკვეთილი შეიქმნა.**

აღკვეთილი გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მდებარეობს და მისი ფართობი 443 ჰექტარია.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, ეს არის ერთადერთი ადგილი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც პონტოს მუხის კორომები შედარებით დიდ ფართობზეა გავრცელებული.

უწყება განმარტავს, რომ აღკვეთილის შექმნის მიზანია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარის, უნიკალური ტყისა და მისი ეკოსისტემის დაცვა და შენარჩუნება.



შესაბამისი კანონპროექტი გასულ წელს მომზადდა და პარლამენტმა ცოტა ხნის წინათ დაამტკიცა.

# ღვინო ტვინს იმაზე მეტად ავარჯიშებს, ვიდრე მათემატიკა

**მეცნიერებმს თუ დავუჯერებთ, ღვინის მირთმევა გონებას იმაზე მეტად ასტიმულირებს, ვიდრე კარგი მუსიკის მოსმენა ან რთული მათემატიკური მაგალითის ამოხსნა. ხოლო, თუკი ღვინოს სასიამოვნო მუსიკის თანხლებით მიირთმევთ, მაშინ ჩათვალეთ რომ ნამდვილ თერაპიას იტარებთ.**



მათი თქმით, ღვინის დეგუსტაციაში ტვინის იმაზე დიდი ნაწილი ერთვება, ვიდრე ნებისმიერი სხვა აქტივობის დროს. ამ დროს ყველა უჯრედი არომატის დადგენითაა დაკავებული.

# არ გაყიდოთ ტუტანჰამონის სკულპტურა!

**დიდ ბრიტანეთში ეგვიპტის საელჩო ლონდონს სთხოვს, შეაჩეროს Christie-ს აუქციონზე უძველესი ეგვიპტური ნაკეთობის, ფარაონ ტუტანჰამონის სკულპტურის გაყიდვის პროცესი. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადება ეგვიპტის საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.**



მანამდე Christie-მ განაცხადა, რომ ტუტანჰამონის კვარციტის სკულპტურას, რომლის სიმაღლე 28,5 სანტიმეტრია, აუქციონზე გასაყიდად 4 ივლისს გაიტანენ.

სკულპტურის თავდაპირველი ღირებულება 5,1 მლნ დოლარით განისაზღვრა.

გარდა ტუტანჰამონის სკულპტურისა, ეგვიპტე ითხოვს 3-4 ივლისის აუქციონებზე შეჩერდეს ყველა ეგვიპტური სიძველის გაყიდვა, რადგან სიღრმისეულად გამოარკვიონ სიძველეთა მფლობელობის ნამდვილობა.

სიძველეთა გაყიდვის შეჩერების მოთხოვნით, ეგვპიტემ იუნესკოსაც მიმართა.

# ციმბირში გიგანტური მგლის თავი აღმოაჩინეს

**ციმბირში ბოლო გამყინვარების პერიოდის გიგანტური მგლის თავი იპოვეს. 40 000 წლის წინათ გაყინული ცხოველის თავი შესანიშნავად არის შენახული.**

გიგანტური თავი 2018 წელს ადგილობრივმა მამაკაცმა აღმოაჩინა იაკუტიაში, მდინარე ტირეხტიახის ნაპირებზე. სიგრძეში 40 სანტიმეტრია და არ ჰგავს ამჟამად არსებული მგლის არც ერთ სახეობას.

სახის რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პალეონტოლოგის ალბერტ პროტოპოპოვის განცხადებით, აღმოჩენა უნიკალურია, რადგან წარმოადგენს პლეისტოცენის ეპოქის ზრდასრული მგლის ნაშთებს, რომელიც ქსოვილებსაც შეიცავს.

მისივე თქმით, მოხდება ნამარხის შედარება თანამედროვე მგლებთან, რათა გავიგოთ, რამდენად შეიცვალნენ ისინი დროთა განმავლობაში.

მგლის თავი მართლაც საოცრად კარგ მდგომარეობაშია – ხელუხლებელია მისი ბეწვი, ეშვები, კანის და ტვინის ქსოვილებიც კი. იაკუტიის ამავე რეგიონში რამდენიმე წლის წინათ აღმოაჩინეს მღვიმის ლომის გაყინული ბოკვრებიც.

შვედ და იაპონელ მეცნიერებთან ერთად, პროტოპოპოვი ამჟამად ნამარხს აქტიურად სწავლობს და დარწმუნებულია, რომ ის ზრდასრულ, 2-4 წლის მგელს ეკუთვნის.

კვლევის ფარგლებში ჩატარდება უძველესი ცხოველის დნმ-ის ანალიზი, თავის ქალის შიდა ნაწილების დასანახად კი კომპიუტერულ ტომოგრაფიას გამოიყენებენ.

პროტოპოპოვის განცხადებით, ციმბირის მრავალწლოვანი მზრალობის ნიადაგებში მგლის ჩონჩხის პოვნა არც ისე იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ ასე კარგად შემონახული ნამარხი ხშირი ნამდვილად არ არის.

გარდა მგლის თავისა, მეცნიერები ასევე სწავლობენ ცოტა ხნის წინათ აღმოჩენილ მღვიმის ლომის ბოკვერს. მკვლევართა აზრით, ის მდედრი იყო, დაბადებიდან მალევე მოკვდა და ყინულმა შთანთქა.

ბოკვერს სახელად სპარტაკი უწოდეს და ისიც საოცრად კარგად არის შემონახული, რაც მეცნიერებს ამ უძველესი სახეობის უკეთესად შესწავლის საშუალებას აძლევს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.7348; ევრო - 3.0920;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4705;
100 რუბლი - 4.2244; თურქული ლირა - 0.4722;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6083;
1000 სომხური დრამი - 5.6975.

**ამინდი 12 ივნისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +33 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე | +29 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +20, | დღე | +32 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +16, | დღე | +32 |
| თბილისი: | ღამე | +20, | დღე | +32 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**

ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge